გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
შაბათი, 23 აპრილი, 2005 წელი.
№95 (5128)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტი



## ეს ისტორიული შეხვედრაა

**– განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სუუამის სამიტზე, რომელიც 22 აპრილს მოლდოვას დედაქალაქში გაიმართა.**

ქვეყნის პირველმა პირმა, რომელიც ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის სტატუსით გამოვიდა, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი დასვა და აღნიშნა, რომ რუსი ჯარისკაცების საქართველოდან გაყვანა ქვეყნის მოსახლეობის ნებაა.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე ილაპარაკა კონფლიქტის ზონებზეც და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი რეგიონები თანამედროვე ევროპაში არ უნდა არსებობდნენ. საქართველომ თავისი სამშვიდობო ინიციატივის განსახორციელებლად საერთაშორისო საზოგადოებას უფრო აქტიური მხარდაჭერა სთხოვა.

– ჩვენ გვინდა უფრო ენერგიული მხარდაჭერა კონფლიქტების გადაწყვეტაში, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. ამჟამად საქართველო მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთთან საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების საბოლოო გაყვანასთან დაკავშირებით, ისევე როგორც დგას საკითხი მოლდოვადან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. გასათვალისწინებელია ის პრინციპი, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის არც ერთი სამხედრო ბაზა არ უნდა იყოს, თუ იგი ეწინააღმდეგება ხალხის ნებას, რუსეთის სამხედრო ბაზები კი საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ იმყოფებიან, ეს კი არ შეესაბამება ორი ქვეყნის ინტერესებს, არ ემსახურება ორმხრივ ურთიერთობას, უსაფრთხოების საკითხებს, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

თავიანთ გამოსვლებში უკრაინისა და საქართველოს ლიდერებმა ისაუბრეს სუუამის გაძლიერებაზე. მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა განცხადება პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე დემოკრატიულ ცვლილებებზე და ამ პროცესებში შემდეგ ქვეყნად ბელარუსი დაასახელა.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ ლიტვის იდეას, რომ ჩვენი კონფერენციის დასკვნით დოკუმენტში შევიტანოთ ბელარუსის საკითხი, რადგან ბელარუს ხალხს, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის დანარჩენ ხალხებს, აქვს უფლება იცხოვროს თავისუფალ ევროპაში, ჩაერთოს ევროპულ ინტეგრაციაში. ჩვენ გვჯერა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ სუუამთან, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

კიშინიოვის სამიტის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუმინეთისა და ლიტვის პრეზიდენტები, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი სტივენ მანი.

**ერთობლივი სამხედრო შენაერთის შექმნის შესახებ სამიტზე ინიციატივით გამოვიდა უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო. მისი თქმით, ეს შენაერთი კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო ღონისძიებებს განახორციელებს. ვიქტორ იუშჩენკოს ინიციატივით გაჩნდა იდეა შეიქმნას იალტის ახალი ფორმატი, რომელიც სტალინი-რუზველტი-ჩერჩილის ანტიპოდი იქნება.**

სამიტის დეკლარაციაში ჩაიწერება, რომ სუუამი მხარს უჭერს ქართულ-ოსურ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

სუუამის წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა პირველად დსთ-ს ისტორიაში დაგმეს ბელარუსში მიმდინარე მოვლენები და გააკრიტიკეს ლუკაშენკოს რეჟიმი. სხვათა შორის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ლუკაშენკოს ევროპის „უკანასკნელი დიქტატორი“ უწოდა.

დღე

## 2009 წლამდე რუსულ ჩექმას ვერ მოვითმენთ!

### რა დაიბარეს სერგეი მირონოვს მოსკოვიდან?

**ვერავინ წარმოიდგენდა ქართული სახელმწიფოს გამთლიანებისთვის „შეუპოვრად მებრძოლი“, ეთნოკონფლიქტების, ფართომასშტაბიანი პროვოკაციების, „დაყავი და იბატონეს“ დიდოსტატი, ჩვენი მეზობელი და გულდამწვარი „მეგობარი“ რუსეთი თუ ბოლო ეტაპზეც ჯორივით გაჯიუტდებოდა და რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის ვადად 2008 წლის 1 იანვარს დაასახელებდა... თანაც, ცინიკურად დაამატებდა, – 2009 წელი ბაზების დახურვის თარიღი გახდებაო!.**

როგორც ჩვენმა მკითხველმა ელექტრონული მედიის დახმარებით უკვე იცის, გუშინ სწორედ ასე თქვა თბილისში ერთდღიან სამუშაო ვიზიტად მყოფმა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა.

ბრავო, სერგეი!, რა დამაჯერებელი ცინიზმით გაახმოვანე დიდი მოსკოვის დანაბარები. 2009 წლამდე ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი, საქართველოშიც ბევრი რამ შეიცვლება და ვინ იცის, იქნებ, სამხრეთ კავკასიის წამყვან სტრატეგიულ ქვეყანაში რუსეთმა, ბაზების გაყვანის სანაცვლოდ, ახალი საბრძოლო შენაერთები შემოიყვანოს...

ღმერთმა ნუ ქნას! უფალმა დაგვიფაროს!, თუმცაღა, რუსული პოლიტიკოსებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ამიტომაც ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს, რომ თანმიმდევრული, მშვიდობიანი აქციებით, საქართველოს ხელისუფლების მხარდამხარ, რუსეთი ვაიძულოთ 2007 წლამდე გაგვანთავისუფლოს ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებისგან.



გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სუუამის სამიტზე ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ მოლდოვა და საქართველო საკუთარი ხალხის ნებით, რაც შეიძლება მალე უნდა განთავისუფლდეს რუსული სამხედრო შენაერთებისგან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინვე, სერგეი მირონოვთან დახურულ კარს მიღმა შეხვედრის შემდეგ, ერთობ დამაფიქრებელი განცხადება გააკეთა: პარლამენტი უახლოეს მომავალში მიიღებს კანონს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარების განლაგებას აკრძალავს. ეს მხოლოდ მას შემდეგ განხორციელდება, რაც რუსული სამხედრო ბაზები დატოვებენ ქვეყნის ტერიტორიას!

როდის დატოვებენ? – რუსები ორივე ქვეყნისთვის მისაღები კომპრომისული ვარიანტის მოძებნას გვთავაზობენ და... მინიმუმ 4 წელიწადს ითხოვენ!

იხ. მე-2 გვ.

შევეწიოთ!



## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

### ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

| | |
|---|---|
| გიორგი ნადირაძე | – 70 ლარი; |
| ავთანდილ წამალაშვილი | – 100 ლარი; |
| აკა, ლიკა, სოფო, მარიამ მიქელაშვილები | – 15 ლარი; |
| ნათელა გაგაძე | – 50 ლარი; |
| გიორგი თათრიშვილი | – 100 დოლარი; |
| თენგიზ ქობულაძე | – 300 ლარი. |

სულიერება

## ლაზარეს შაბათი

ყოველი ერი თავის ენაზე ადიდებს ღმერთს, მაგრამ არც ერთ ერს არ მიუნიჭებია საკუთარი ენისათვის სიცოცხლე მხოლოდ ღვთის დიდებისთვის.

ქართველი ერი აქებს და განადიდებს თავის ენას ღვთის სადიდებლად და სწამს, რომ ღმერთი აკურთხებს მაკურთხეველთა მისთა, სჯერა, რომ ქართული ენა ღვთაებრივი ცეცხლისაგან ანთებული ჩირაღდანივით ნათლის მომფენიც იქნება და ბოროტების დამწველიც.

1985 წლიდან საქართველოს ეკლესიამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, საეკლესიო კალენდარში შეიტანა ქართული ენის დღესასწაული და აღნიშვნის დღედ განაჩინა ლაზარეს შაბათი, ამით ოფიციალურად აღიარებულია მართლმადიდებელი ქართველი ერის მისტიკური ჭვრეტისა და სულიერი იდუმალი ხმა: არასდროს უღალატოს მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებას და უფლის მიერ გაცოცხლებული ლაზარეს



მსგავსად, ყველაზე ცხოველ მოწმედ დაუდგეს ქრისტეს ღვთაებრიობას.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ.**

ინფორმაცია

## რიჩარდ მაილსმა შტაბის მუშაობა დადებითად შეაფასა

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით შექმნილი საკოორდინაციო შტაბი, რომელიც თბილისში, ლეონიძის №2-ში მდებარეობს, გუშინ საქართველოში ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა მოინახულა.**

ელჩმა ოფისი დაათვალიერა და პრეზიდენტის დასახვედრად მიმდინარე მზადების პროცესის შესახებ ინფორმაცია პირადად შტაბის ხელმძღვანელისგან დანიელ ქუნინისგან მიიღო. რიჩარდ მაილსს შტაბში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი გიორგი არველაძეც მასპინძლობდა, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობს.

არველაძის თქმით, სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის დროს საკოორდინაციო შტაბის მხრიდან გაუთვალისწინებელი შემთხვევები მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება რიჩარდ მაილსს, მან შტაბის მუშაობა დადებითად შეაფასა, თუმცა განაცხადა, რომ ამერიკულ მხარეს ვიზიტის მომზადებისას გარკვეული მოთხოვნები აქვს და ბევრი დეტალი დასაზუსტებელია.

## აჭარა ემზადება

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ვარდების რევოლუციის წლისთავის აღნიშვნისთვის ემზადება.**

როგორც „ინტერ-პრესის“ კორესპონდენტი ბათუმიდან იუწყება, 6 მაისს საზეიმო ღონისძიებები ჩოლოქის ხიდიდან დაიწყება. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ დროისთვის ხიდზე სამშენებლო სამუშაოების დასრულება ვერ მოხერხდება.

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა აჭარის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ ხიდზე მიმდინარე სამუშაოები შეამოწმა და მომუშავე პერსონალს სამუშაოთა ტემპის დაჩქარებისკენ მოუწოდა. ხიდის ასაშენებლად აჭარის ბიუჯეტიდან 1,5 მილიონი ლარი გამოიყო.

**რევოლუციის წლისთავისთვის ბათუმში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ელოდებიან. საზეიმო ღინისძიებების ფარგლებში, აჭარაში რამდენიმე ახალი ობიექტის გახსნაც იგეგმება.**

**ინტერ-პრესი.**

ანონსი

## საქართველოს მეგობრები




### რატომ სცემდა გამორჩეულ პატივს „წყნარი დონის“ ავტორი ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს

**მართლაც, რაღა გატყორცნილი ისარი და რაღა დრო. ყველაფერი თითქოს გუშინ იყო. ეს „გუშინ“ კი უკვე ორმოცდაექვსი წელიწადია.**

**რედაქციიდან სტანიცა ვეშენსკაიაში დავრეკეთ. გვითხრეს, როსტოვშიაო. ამა და ამ სასტუმროშია გაჩერებულიო. ზარი ახლა როსტოვს მივაწვდინეთ. უმალ დაგვაკავშირეს. და ჩვენც ჯიქურ გავუმხილეთ მიზანი: გვინდა, რომ საქართველოში მოგიწვიოთ. შორიდან დაპატიჟება არ გამიგონიაო. აქ ჩამოდით, აქ მოვილაპარაკოთო.**

**რახან უარი არ იყო, ვიგრძენით, როგორ შეგვესხა თბილისიდან რუსეთში გადასაფრენი ფრთები.**

**დავით მჭედლიშვილმა ვასილ მჟავანაძის დონეზე შეათანხმა ფრიად სახელგანთქმული მწერლის მოპატიჟება.**

**მეორე თუ მესამე დღეს როსტოვში ვიყავით. საოცარი მასპინძელი გამოდგა. ჩვენც, მე და ოთარ არობელიძე, იმავე სასტუმროში დაგვაბინავა. ხელდახელ სუფრა გააშლევინა, ქართველებს პურმარილი გიყვართო. ჩვენ ჩატანილი ძღვენი – „წინანდალი“ და „მუკუზანი“ – ამოვალაგეთ. მე ქართულ ან ფრანგულ ღვინოებს ვსვამო. უპირატესობას მაინც ქართულს ვანიჭებო. ეს ის დროა, „წყნარი დონის“ მიხედვით ფილმის ახალ ვარიანტს იღებდნენ, აქსინიას როლში ცნობილი ელენე ბისტრიცკაია თამაშობდა. იმჟამად ისიც მწერლის სტუმარი იყო. აი, ჩემო მზეთუნახავო, შენს პატივსაცემად ქართველებიც მოვიპატიჟეო. კარგა შეზარხოშებულს ბაგეთაგან სიყვარულის თაფლი სწვეთავდა.**

**მე აქედანვე ვერ წამოგყვებით, უფლება არა მაქვს, ჩემს ცოლს, ძვირფას მარია პეტროვას უნდა დავეკითხოო. ჯერ ვეშენსკაიაში უნდა ჩავიდეთო. ვეშენსკაიაში კი თითქმის ერთი კვირა დაგვამყოფა. ეს ძალიან გრძლად მოსაყოლი ამბავია. მე ერთხელ (დიდი ხნის წინათ) უკვე ვწერდი ამაზე და ალბათ კვლავაც მომიწევს წერა. ახლა კი ამ ნამდვილად დიდი რუსი მეოცესაუკუნელის ასი წლისთავის გამო ჩვენმა გაზეთმა გადაწყვიტა, რომ ქართველ მკითხველს გააცნოს მწერლის ცხოვრების რამდენიმე უცნობი ფურცელი, უფრო სწორად, იოსებ სტალინთან ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდი.**

**ქართველმა მკითხველმა კი უნდა იცოდეს, რომ „წყნარი დონის“ გენიალურ ავტორს სულ სხვა ადამიანური სითბოთი გაჯერებული ურთიერთობა აკავშირებდა როგორც თავად ქვეყნის, დედამიწის ერთი მეექვსედის, ქართველ თავკაცთან, ისე მის სამშობლოსთან, კერძოდ, ქართველ ხალხთან, ქართულ კულტურასთან.**

**ის ორჯერ იყო საქართველოში. პირველად – 1961 წელს, მეორედ – 1968 წელს.**

**რა დამავიწყებს. საქართველოში მომავალნი, ცხადია, როსტოვში შევჩერდით. 61 წელია. ქვეყანას „სიმინდის ტომარა“ – ხრუშჩოვი „აზანზარებს“. გაუგიათ, შოლოხოვი აეროპორტშიაო, და თვითონ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მოვარდა. იქნებ ამჯერად გადაგედოთ საქართველოში სტუმრობაო. რომ შეატყო, არაფერი გამოსდიოდა, ახლა ხრუშჩოვის სახელზე დეპეშის გაგზავნა სთხოვა. აგერ, ახლა გადმოსცეს, მესამე გმირობის ორდენით დაჯილდოვდა და მიულოცეთო.**

**ეს რა გაიგონეს ჩემმა ყურებმაო, გულწრფელად გაიოცა მწერალმა. ტრიჟდი დურაკი გამიგონია, ტრიჟდი გეროი კი პირველად მესმისო. აშკარად საქართველოში სტუმრობის ჩაშლის მიზნით მოგზავნილი პირველი მდივანი „ტრიჟდი დურაკის“ გაგონებაზე კარგა გვარიანად შეცბა და როგორ „აორთქლდა“, ვერც შევამჩნიეთ.**

**მე სტალინისთვის სიტყვა მაქვს მიცემული, რომ საქართველოში აუცილებლად უნდა ჩამოვსულიყავიო. ჩემს სიტყვას კი მე არცროდის გადავსულვარ და არც გადავალო (აკი საგანგებოდ ჩავიდა კიდეც გორში ჯუღაშვილების ძველი სახლის მოსანახულებლად და ძვირფასი სიტყვებიც ჩაწერა მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში).**



**როგორც 1961 წელს, ხრუშჩოვის დროს, ისე 1968 წელს, ბრეჟნევის დროს, შოლოხოვის სტუმრობა მთელ მაშინდელ კავშირში გახმაურდა. სწორედ თბილისში დაგმო შოლოხოვმა, უკვე ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ტანკების შეჭრა. ეს ინფორმაცია მაშინ თბილისიდან გავრცელდა მსოფლიოში.**

**პირველადაც და მეორედაც „წყნარი დონის“ ავტორმა ქართველ მეგობრებთან ერთად სრულიად საქართველო მოიარა. მაშინაც მაოცებდა და დღესაც მიკვირს ქართული კულტურისა და, კერძოდ, ქართული მწერლობის ის ღრმა ცოდნა, რომელიც აგრერიგად გამოარჩევდა ამ დიდ რუსს ყველა სხვა რუსისგან, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ – სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მე რუსთაველსა და ბარათაშვილში თვით სტალინმაც კი ვერ ჩამჭრაო, – ერთგვარი სიამაყით წაიტრაბახებდასავით ხოლმე. ამიტომ იყო, რომ გიორგი ლეონიძე „ქართულ გამოცდაჩაბარებულს“ ეძახდა. თავად კი ლეონიძეს ცოცხალთა შორის საქართველოს პირველ პოეტად რაცხდა.**

**ერთი სიტყვით, მოსაყოლი მართლაც ბევრია. მთავარი კი ის არის, რომ მის სიყვარულს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის მიმართ, უთუოდ გულწრფელ სიყვარულს, ჩვენი ისტორიისა და ჩვენი ცხოვრების ნამდვილად ღრმა ცოდნა ედო საფუძვლად...**

**ვიქტორ პეტელინი, რომლის ახლახან გამოსული ათასგვერდიანი წიგნიდანაც („მიხეილ შოლოხოვის ცხოვრება“) გთავაზობთ ერთ-ერთ თავს – „მიხეილ შოლოხოვის შეხვედრები იოსებ სტალინთან“, ცნობილი რუსი მეცნიერია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.**

**ვისაც ჩვენ ვუყვარდით და ვუყვარვართ, ცხადია, ჩვენც უნდა გვიყვარდეს. ამისთვის კი ჯერ კარგად გაცნობაა საჭირო. ჩვენი პუბლიკაციის მიზანიც სწორედ ეს არის.**

**გურამ გოგიაშვილი.**

**სურათზე: 1959 წელი. სტუმრად მიხეილ შოლოხოვთან სტანიცა ვეშენსკაიაში (გურამ გოგიაშვილი მწერალთან ერთად).**

ოთარ არობელიძის ფოტო.

**ზემოხსენებული ვიქტორ პეტელინის წიგნიდან ვრცელი ნაწყვეტის – „მიხეილ შოლოხოვის შეხვედრები იოსებ სტალინთან“ – ბეჭდვას ჩვენი გაზეთის ხვალინდელი ნომრიდან ვიწყებთ.**

თანამშრომლობა

## გაერო საქართველოს მთავრობას დაეხმარება



**გუშინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და საქართველოში გაეროს კოორდინატორმა, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა ლანს კლარკმა ხელი მოაწერეს გაეროს მიერ 2006-2010 წლებისთვის შემუშავებულ განვითარების ხელშემწყობ გეგმას.**

გაეროს განვითარების ხელშემწყობი გეგმა სტრატეგიული დოკუმენტია, რომლითაც გაეროს სააგენტოები საქართველოს მთავრობას დაეხმარებიან ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის შესრულებაში.

საქართველოში მოღვაწე გაეროს სააგენტოებმა დახმარებისთვის ხუთი სფერო გამოარჩიეს: მმართველობა, სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკის განვითარება, ძირითადი სოციალური მომსახურება, კონფლიქტები, საგანგებო სიტუაციები და არასტაბილურობა, გარემოს დაცვა.

გაეროს განვითარების ხელშემწყობი გეგმა მიზნად ისახავს საქართველოს დახმარებას პრობლემების მოსაგვარებლად, მომავალი თაობებისთვის უკეთესი მერმისის შესაქმნელად.

„ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ 2010 წლისთვის, როცა პროგრამა დასრულდება, ეს პრობლემები მოგვარდება, – განაცხადა ცერემონიაზე ზურაბ ნოღაიდელმა.

## ინტერპანორამა

**ამერიკის შეერთებული შტატები გამოყოფს 5 მილიონ დოლარს ბელორუსიაში დემოკრატიის მხარდასაჭერად. ამ თანხიდან შეერთებული შტატების სენატის კომიტეტი საჭიროდ მიიჩნევს, რომ 2 მილიონი მოხმარდეს „მოქმედებას ბელორუსიაში დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების განმტკიცებისთვის“. როგორც მოელიან, პრეზიდენტ ბუშს ამ დოკუმენტს ხელმოსაწერად გადასცემენ მაისის დამდეგს.**



**ყირგიზეთში აღძრეს სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა ფიგურანტთა შორის არიან ამ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ასკარ აკაევის ვაჟი და სიძე. სისხლის სამართლის საქმეები უკავშირდება ქონებისა და საკუთრების შეძენის სხვადასხვა საკითხს.**



**იტალიელი ასტრონავტი რობერტო ვიტორი განახორციელებს ექსპერიმენტს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება კოსმოსური ობიექტების მკაფიო გამოსახულების მიღების სისტემის დახვეწა. ექსპერიმენტის დროს გამოიყენებენ დედამიწიდან გაშვებულ ლაზერის სხივს და საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში დამონტაჟებულ ამრეკლავს.**



**ლატვიის პრეზიდენტს ვაირა ვიკე-ფრეიბერგას არ მიაჩნია შესაძლებლად 10 მაისს მოსკოვში რუსეთთან საზღვრის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა. ლატვიის პრეზიდენტის აზრით, ღონისძიება, რომელზე დასასწრებადაც იგი მოსკოვში ჩავა, არის საზეიმო, საზღვრის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა კი შედის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის სფეროში და „ეს ორი რამ შეუთავსებელია“.**

№ 95. შაბათი, 23 აპრილი, 2005 წელი.

კანონმდებლები

# ტელეშოუ „სუსტი რგოლი" პარლამენტში

**გუშინ ოპოზიციას კვლავ დასჭირდა იმის განმარტება, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებას არ ეწინააღმდეგება. პირიქით, ეს ის ერთადერთი პრინციპია, რაშიც ოპოზიცია უმრავლესობას ეთანხმება.**



[illegible] დაიდო უფრო მეტად დახვეწის მიზნით. სწორედ ამის გამო გაუჩნდა კობა დავითაშვილს ეჭვნარევი კითხვა, ამ ხნის მანძილზე უკეთესობისკენ თუ შეიცვალა რამეო. შემდეგ კი მორიგი შეკითხვა დასვა:

— თქვენი კანონპროექტის თანახმად, არჩევნები იმ საფეხბურთო მატჩს ხომ არ დაემსგავსება, სადაც მსაჯი არის ერთ-ერთი გუნდის კაპიტანი? [illegible]

[illegible] საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გუგული მაღრაძე, გარკვეულწილად, დაეთანხმა ოპოზიციას — ყველაფერი პრეზიდენტს რატომ უნდა დავაკისროთო. მახსოვს, ადრე, როცა ლომაიას იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებასთან დაკავშირებით ოპოზიციის თვალსაზრისი გაიზიარა, აქეთ-იქიდან ბოკერია და მაჭავარიანი მიუსხდნენ და „დატუქსეს". გუშინ მსგავსი ფუნქცია, როგორც ჩანდა, დავით კირკიტაძემ იკისრა. სანამ ქალბატონ გუგულის მიუახლოვდებოდა, გზად ერთი დარდიმანდულად წაჰკრა ფეხი სავარძელს და დააბზრიალა.

ისე ჩანდა, სხდომას უსეიროდ უნდა ჩაევლო, ეს კი ჩვეული სტილიდან გადახვევა იქნებოდა. ალბათ, ამიტომაც განიზრახა ელდარ კვერნაძემ საზოგადოების გამხიარულება:

— საზოგადოებას კარგად უნდა ავუხსნათ, რას მოითხოვენ ოპოზიციის წარმომადგენლები. ისინი „სუსტი რგოლის" თამაშს გვთავაზობენ. თუ საარჩევნო ადმინისტრაციას, მათი წინადადების შესაბამისად დავაკომპლექტებთ, „ნაციონალური მოძრაობის" მოშორებას გადაწყვეტენ. როცა დიქტორი იკითხავს, ვინ არის ის სუსტი რგოლი, ვის გაგდებასაც აპირებთო, ისინი ასწევენ ფურცელს, რომელზეც დაწერილი იქნება „ნაციონალური მოძრაობა" (თვალსაჩინოებისთვის ბატონმა ელდარმა ცისფერი ფურცელი გვაჩვენა, რომელზეც მუქად ჰქონდა წაწერილი თავისი პარტიის სახელი).

ეფექტი მიღწეული იყო — ყველას გაეცინა.

ოპოზიციას რაც გვდომებია, გავიგეთ, მაგრამ თქვენ რა გინდათო, — წამოიძახა კუკავამ.

— ჩვენ გვინდა, ძლიერმა, ანუ „ნაციონალურმა მოძრაობამ" გაიმარჯვოსო, [illegible] სას გაიტანს. მე არ მომისმენია, მაგრამ კახა კუკავა ამტკიცებს, — გიგა ბოკერიამ თქვა, მე მაშინაც ვუჭერდი მხარს ვიტალი ხაზარაძესო.

**რუსუდან გახარია.**

ინფორმაცია

## გარემოვაჭრეებმა გამზირი გადაკეტეს

**მეტროპოლიტენის სადგურ „გოცირიძესთან" დაწყებულმა გარევაჭრობის აღკვეთის ღონისძიებებმა დღეს მოვაჭრეებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება გამოიწვია. მოვაჭრეებმა პროტესტის ნიშნად ვაჟა-ფშაველას გამზირი გადაკეტეს, თუმცა ისინი პოლიციამ დაშალა.**

**როგორც „ინტერ-პრესს" ვაკე-საბურთალოს რაიონის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსმა ზურაბ ბერიძემ განუცხადა, მალფუჭებადი პროდუქტებით ქუჩაში ვაჭრობა კატეგორიულად აიკრძალება, თუმცა ისინი მეტროპოლიტენის აღნიშნულ სადგურთან დარჩენას მოითხოვენ.**

**ინტერ-პრესი.**

დღე

# 2009 წლამდე რუსულ ჩექმას ვერ მოვითმენთ!

(პირველი გვერდიდან)

თანაც, სერგეი მირონოვს თუ ვერწმუნებით, საქართველოს პრინციპული პოზიცია მისთვის გასაგებია, თუმცაღა, რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის „ცივილური" მექანიზმი უნდა შემუშავდესო.

მაინც როგორი? — ქვეყანა, რომელიც სტამბოლის სამიტის ხუთი წლისწინანდელ გადაწყვეტილებას სანახევროდ ასრულებს, საქართველოს მეგობარი ქვეყნების (რომელთა რიცხვში, სამწუხაროდ, რუსეთიც იგულისხმება!) დაჟინებულ მოთხოვნას არაფრად აგდებს, რა „ცივილურ მექანიზმს" ითხოვს?

რუსული პოლიტიკის ორმაგი სტანდარტი ისევ სახეზეა. 2009 წელს პუტინის მეგობარი ჯორჯ ბუში უკვე აღარ იქნება ამერიკის პრეზიდენტი. თვით პუტინიც ჩამოშორდება რუსული იმპერიის საჭეს... ამიტომაც აჭიანურებს ბაზების გაყვანის პროცესს, ვინ იცის, რა მოხდება!

ნინო ბურჯანაძემ აღიარა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სირთულეები, — სამხედრო ბაზის გაყვანა, კონფლიქტები აფხაზეთსა და ოსეთში, საზღვრის დემილიტარიზაციის საკითხი განსაზღვრავს ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ჩამოყალიბდება კი?

სერგეი მირონოვის დასახელებულ თარიღს კატეგორიულად ეწინააღმდეგება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე. ის ხაზგასმით ამბობს, რომ რუსული სამხედრო ბაზები უნდა გავიდეს 2007 წლის 1 იანვრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო სხვა მექანიზმს აამუშავებს და ხალხის ნებით რუსები იძულებული გახდებიან ბაზები გაიყვანონ.

გუშინწინ ქართველმა სტუდენტებმა ენგურის ხიდზე საპროტესტო აქცია გამართეს და რუსული ჩექმა დაწვეს...

პრობლემა „მომწიფდა". 2009 წლამდე ქართველი ხალხი ვერ დაიცდის...

**სპარტაკ ქოზულია.**

კურთხევა

# ბინის შეძენა გსურთ? — მიაკითხეთ „თიბისი ბანკს"

**„თიბისი ბანკის" მშვენიერ, ახალ სათავო ოფისში ჟურნალისტები ახლახან მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების მოწმე გავხდით: „თიბისი ბანკისა" და კომპანია „ცენტრ პოინტის" ჯგუფმა საჯაროდ წარმოადგინეს ერთობლივი პროექტი, რომელიც ინოვაციური, სავსებით ახალი მიმართულებისაა და საშუალო ფენის წარმომადგენლებს უძრავი ქონების შეძენის მეტად მომგებიან და მიმზიდველ წინადადებებს სთავაზობს.**

პირველი მაისიდან „ცენტრ პოინტი" „თიბისი ბანკთან" ერთად საქართველოში მზარდი საშუალო ფენის წარმომადგენლებს უნიკალურ შესაძლებლობებს ანიჭებს: მათ იპოთეკური სესხის მეშვეობით შეუძლიათ შეიძინონ უძრავი ქონება თბილისის როგორც ცენტრალურ ნაწილში, ისე მის გარეუბნებში და საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

ეს კარგია, საქართველოში დღეს ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საშუალება, დამოუკიდებლად გაუძღვეს საკუთარ ცხოვრებას და იყოს ბედნიერი. საქართველოში მზარდ საშუალო ფენას, მათ შორის ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ ოჯახის შექმნა და დამოუკიდებლად ცხოვრება, ეს პროექტი კარგ შანსს აძლევს. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გახდნენ საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეები და საკუთარ ცხოვრებას სილამაზე და მყუდროება შესძინონ.

„ცენტრ პოინტი" მთელი საქართველოს ტერიტორიაზე იწყებს მასშტაბურ პროექტებს, რომლებიც რეალურად შეესაბამება საშუალო ფენის სოციალურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს. იგი გახლავთ უმსხვილესი სამშენებლო კომპანია, რომელიც აღიარებული ლიდერია უძრავი ქონების ბაზარზე, 1999 წლიდან აშენებს მაღალი ხარისხის სახლებს და უამრავი მომხმარებელი ჰყავს.

ვისაც სურს, გახდეს კომპანია „ცენტრ პოინტის" ჯგუფის ბინის მფლობელი და მის შესაძენად გადაწყვეტს „თიბისი ბანკში" იპოთეკური სესხის აღებას, შეძლებს ისარგებლოს ძალზე გამარტივებული და მოხერხებული სქემით, რომელიც პრესკონფერენციაზე წარმოადგინეს.

„თიბისი ბანკი" მუდმივად აუმჯობესებს საკუთარ პროექტებსა და სერვისებს. ერთ-ერთი სიახლე, რომელსაც „თიბისი ბანკი" განახორციელებს, გულისხმობს იპოთეკური სესხების ვადის ოც წლამდე გაზრდას, რაც ქართულ ბაზარზე რევოლუციურ ნაბიჯად ჩაითვლება. ფაქტობრივად, „თიბისი ბანკმა" მომხმარებლისკენ ცხრა ნაბიჯი გადადგა და 9 სიახლეს სთავაზობს ცხრა კვირის განმავლობაში.

წარმოდგენილი პირობები მართლაც საუკეთესოა და შეესაბამება საქართველოში არსებულ სოციალურ მდგომარეობას. თქვენ ოცი წლის განმავლობაში შეგეძლებათ, დაფაროთ საცხოვრებელი ფართობის ღირებულება. ეს ბევრად იოლი გზაა, თანაც პირველადი შენატანი მშენებარე ბინის შეძენისას საჭირო არ არის.

ახალი პროექტი ბინის შეძენის ყველა პოტენციურ კლიენტს აძლევს შესაძლებლობას, გამარტივებულად, „ცენტრ პოინტის" ოფისიდან გაუსვლელად, შეღავათიანი პირობებით მიიღოს სესხი (წლიური 13 პროცენტიდან 17 პროცენტამდე). „ბიუროკრატიული" საბუთების მოგროვებაც მინიმუმამდეა შემცირებული. „ცენტრ პოინტში" თქვენ მოგემსახურებათ „თიბისი ბანკის" მუდმივი წარმომადგენელი. ერთი კია, ბინის შეძენის მსურველს უნდა ჰქონდეს ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი (გნებავთ, ხელფასის, დივიდენდის ან იჯარის სახით) 400 დოლარის რაოდენობით.



ზოგჯერ ადამიანები ქარს ატანენ ფულს, მაშინ, როდესაც ჭკვიანები უძრავ ქონებაში დებენ მას. ამ შემთხვევაში თვეში 200-300 დოლარის გაღებით თქვენ შეძლებთ გახდეთ ახლადაშენებული თანამედროვე და ხარისხიანი ბინის მესაკუთრე.

პრეზენტაციის ბოლოს სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის" დამფუძნებელმა ქალბატონმა რუსუდან კერვალიშვილმა და „თიბისი ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ ერთობლივ პროექტზე ურთიერთშეთანხმებას ხელი მოაწერეს.

გადახდის მოქნილი სისტემა, ფასების ფართო არჩევანი იმედია, ბევრს დააინტერესებს და საკუთარი კერის შექმნისკენ უბიძგებს. ეს არ გახლავთ უბრალო გარიგება, იგი სასიცოცხლო არჩევანი და ოჯახური ბედნიერების წყაროა.

**ლალი ქინქლაძე.**

აქტუალური თემა

# საქართველოსთვის აშშ-ის ფაქტორის გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია

**ექსპერტთა ერთი ნაწილი არ იზიარებს იმ აზრს, რომ ამერიკის პრეზიდენტი საქართველოში ხელისუფლების მხარდასაჭერად ჩამოდის. მსოფლიოს ზესახელმწიფოს მეთაურის ვიზიტი არ შეიძლება ასეთი ზედაპირული მიზნით შემოიფარგლებოდესო. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ჩამოსვლა უკვე მხარდაჭერას ნიშნავს. ფაქტია, რომ ამერიკის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი უნიკალური მოვლენაა. რეალურად რისი მომტანი იქნება იგი, ეს უკვე უახლოეს მომავალში გამოჩნდება.**

წინა ხელისუფლების დროს ამერიკელები საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, კონფლიქტი არ გამწვავდესო. ახლა კი მათი პოზიციები აშკარად შეიცვალა. ეს შეიძლება სულაც იმას ნიშნავდეს, რომ შესაძლოა, ბუშმა პუტინს უკვე მისცა იმის გარანტიები, რომ რუსეთის ბაზების გაყვანის შემთხვევაში საქართველოში ამერიკული ბაზები არ განლაგდეს. ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ პარლამენტის დადგენილება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ამერიკის ხელისუფლებასთან შეთანხმებული იყოს. მოკლედ, არცთუ უმნიშვნელო დეტალად მიიჩნევა ის, რომ ბუშს და პუტინს ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ.

ამერიკის მთავარი ინტერესი, მოგეხსენებათ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენია. ბუში მაქსიმალურად შეეცდება, რომ ეს პროექტი განახორციელოს და საქართველოში, საერთოდ კავკასიის რეგიონში, კონფლიქტური, საომარი სიტუაციები არ დაუშვას. კულუარული ხმებით, ამერიკა თუკი ირანთან პრობლემის მოგვარებას მშვიდობიანი გზით მოისურვებს, შუამავლად საქართველოსა და აზერბაიჯანსაც დაიხმარებს.

ბუშის ვიზიტის შემდეგ საქართველოში ამერიკიდან ახალი ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივაზე, კულუარებში აქტიურად საუბრობენ. ბიზნესმენები თვლიან, რომ ამ შემთხვევაში მარტო ბუშის ვიზიტი საკმარისი არ არის. მათი აზრით, ჩვენი ხელისუფლება თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობისა და საკუთრების უფლებების დაცვისათვის სამართლებრივ საფუძველს რაც უფრო მალე შექმნის, ქვეყანაში დიდი ინვესტიციები მით უფრო სწრაფად გაჩნდება. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ბაზების საკითხს. რუსეთის მთავრობის სპეციალური დელეგაციის ვიზიტის შემდეგ, მოსკოვში აცხადებენ, რომ სამხედრო ბაზების გაყვანაზე მსჯელობისას საქართველო დამატებით პირობებს აყენებს და შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება, ამასთან, თბილისი ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების ბლოკირებით იმუქრებაო.

ამ შემთხვევაში ალბათ, ცივილიზებული კომპრომისი აჯობებდა. რუსეთი წლების განმავლობაში ისეთ პირობებს გვთავაზობდა, რომელზეც არც ერთი ქვეყნის ხელისუფლება არ წავა. ახლა, როცა მათ შემხვედრი ნაბიჯების გადმოდგმის სურვილი დაეტყოთ (ობიექტური მიზეზების გამო), ჯიუტობას იქნებ სჯობდეს მოლაპარაკებები შუალედურ ვარიანტზე დაიწყოს? რაც შეეხება ბაზების ბლოკირებას, ბუშის ვიზიტამდე ამის გაკეთება ექსპერტებს მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ. თვლიან, რომ აჯობებს მოვლენების განვითარებას დაველოდოთ. ამ ეტაპზე საქართველოსთვის აშშ-ის ფაქტორის გამოყენება მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია. აშშ-ის პრეზიდენტის თბილისში ჩამოსვლა საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი უნიკალური მოვლენაა, რაც ევროპულ სტრუქტურებსა და ნატოში ქვეყნის ინტეგრაციას შეუქცევადს გახდის.

**მზია გელენავა.**

ინფორმაცია

## „ელექტროკავშირის" დირექტორის გადაყენებას მოითხოვენ

**სს „ელექტროკავშირის" შენობის წინ 150-მდე თანამშრომელმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი ახალი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოდიან და ხელფასების გაზრდას მოითხოვენ.**

**აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ახალი ხელმძღვანელობა პერმანენტულად ამცირებს პროფესიონალ თანამშრომლებს და მათ ნაცვლად არაკვალიფიციურ კადრებს ნიშნავს.**



**როგორც „ელექტროკავშირის" თანამშრომლები აცხადებენ, მათი ხელფასი 50-დან 100 ლარამდე მერყეობს, ხოლო ახალი თანამშრომლის ხელფასი 1000 ლარიდან იწყება.**

**თანამშრომლები საქართველოს პრეზიდენტს მიმართავენ და ახალი გენერალური დირექტორის ნანა ადეიშვილის გადაყენებას მოითხოვენ.**

**„პრეზიდენტმა მოგვცეს იმის უფლება, რომ ჩვენ დავნიშნოთ ახალი ხელმძღვანელი, ან პროფესიონალი ადამიანი გამოგვიგზავნოს", — აცხადებენ აქციის მონაწილეები.**

**„ელექტროკავშირის" თანამშრომლებმა გუშინ გამაფრთხილებელი აქცია გამართეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სახელმწიფო კანცელარიის წინ უფრო ფართომასშტაბიანი აქციის გამართვას გეგმავენ.**

## ოპოზიციის წინადადებები არ გაითვალისწინეს

**საპარლამენტო უმრავლესობამ საარჩევნო კოდექსში ცსკ-ს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით ოპოზიციის მიერ შემუშავებული ცვლილებები არ გაითვალისწინა.**

**საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების უმრავლესობის ვარიანტი გუშინ საქართველოს პარლამენტის პლენარულმა სხდომამ განიხილა. სხდომაზე კანონპროექტის ვარიანტი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა წარადგინა.**

**საპარლამენტო უმრავლესობის პროექტის მიხედვით, ცენტრალური საარჩევნო კომისია 7 წევრით დაკომპლექტდება, ცსკ-ს წევრობის კანდიდატებს კონკურსის წესით შეარჩევენ, პრეზიდენტი კი მათ დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს.**

**საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული კანონპროექტით, ცსკ პროფესიული ნიშნით უნდა დაკომპლექტდეს.**

**საპარლამენტო ოპოზიციის მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით კი, ასევე პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული ცსკ 16-კაციანი უნდა ყოფილიყო, საიდანაც 2-2 წევრს წარადგენდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი დონის არჩევნებში 4 პროცენტ ბარიერგადალახული პარტიები, 2-ს კი პრეზიდენტი. ცსკ-ს თავმჯდომარესა და სხვა დონის საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს თავად კომისიის შემადგენლობები ირჩევენ.**

**საპარლამენტო ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, უმრავლესობამ მაინც მოახერხა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მეორე მოსმენით განხილვა.**

**როგორც უმრავლესობის წევრები აცხადებენ, საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს საბოლოოდ მომავალ კვირაში მიიღებენ.**

**ინტერ-პრესი.**

პირუთვნელი აზრი

# ჩვენ არც მგელი ვართ და არც ძროხა, — ამბობს გოგი თოფაძე

**არბიტრაჟის ირგვლივ ციებ-ცხელება არ ცხრება. ბიზნესმენები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები თავგამოდებით ცდილობენ თავიანთი უფლებების დაცვას, თუმცა არც სახელისუფლებო ორგანოები სხედან გულხელდაკრეფილი. ახლახან პრეზიდენტმა განაცხადა, არბიტრაჟის ინსტიტუტის სრულ გაუქმებას არ ვეთანხმები, თუმცა არსებული ფორმით მისი შენარჩუნებაც მიზანშეწონილად არ მიმაჩნიაო.**

რას ფიქრობს წარმატებული ბიზნესმენი, მეწარმეთა ინტერესების მიუკერძოებელი დამცველი, კომპანია „ყაზბეგის" პრეზიდენტი გოგი თოფაძე? — გული მტკივა, რომ ხელისუფლება მეწარმეთა მიმართ ისევ ძველ პრაქტიკას აგრძელებს, — მითხრა მან.

ბატონი გოგის აზრით, არბიტრაჟის გაუქმება საქმიან წრეებს ხელიდან გამოაცლის სახელმწიფოსთან დავის სამართლიანად დაგვირგვინების გასაღებს. რა პოზიციებიდანაც არბიტრაჟს უტევენ, იმ პოზიციებიდან შეიძლებოდა კომპანიის სასამართლოს შექმნა და მოსალოდნელი დავების მისი მეშვეობით წარმოება — მაგრამ ეს ხომ აბსურდია, — ამბობს გოგი თოფაძე. — როცა ცნობილი ექსპერტები, თუნდაც ვახტანგ ხმალაძე, რომლის პატიოსნებაში, კვალიფიკაციასა და ერუდიციაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, გიმტკიცებენ, ამ გზით სიარული არ შეიძლებაო, უნდა დაუჯერო! ბატონ ზურაბ ნოღაიდელის „გუნდს" არაფრის გაგონება არ სურს და იმპერატიულად მიიღო გადაწყვეტილება. მათ არბიტრაჟი, როგორც ინსტიტუტი, სჭირდებოდათ საგადასახადო კოდექსის მთელი რიგი მუხლების გასაბათილებლად, რომ დავა მათ ირგვლივ არ გამწვავებულიყო. ის მუხლები გაიტანეს და ქვეყნის ეკონომიკა გაწირეს. გაიზარდა უმუშევართა რიგები და, ცხადია, არბიტრაჟი აღარ სჭირდებათ. ეს წელიწადი მალე ჩათავდება და საკუთარი თვალით ნახავთ, რომ ვერც ერთი ბიზნესმენი დავას ვერ მოიგებს...

ბუნებრივია, ისმის კითხვა: სად არის გამოსავალი? „წაართვი, წაართვი, წაართვი ფისკალურ ეფექტზეა აგებული. კაცი იმას აღარ ფიქრობს, რომ მეწარმეს რამე დაუტოვოს, რათა წარმოება გააფართოოს, ახალი სამუშაო ადგილები შექმნას, თავის თავსაც არგოს და სახელმწიფოსაც", — ასე ფიქრობს გოგი თოფაძე.

სხვისი არ ვიცი, მე კი მის მხარეზე ვარ: მეწარმეს იმხელა ტვირთი არ უნდა წამოჰკიდო, რომ ისევ დანაშაულისკენ უბიძგო, მერე კი ცხვირში ძმარი ადინო. ასე ვერც მეწარმეობა განვითარდება და ვერც სახელმწიფო გაიმართება წელში. სხვა არა იყოს რა, ისევ აგორდება გაკოტრების ტალღა, ისევ მოგვიმრავლდება უცხოური უხარისხო პროდუქცია და სამამულო მრეწველობა საბოლოოდ დასამარდება. ქართველ მეწარმეს უნდა მივცეთ კვლავწარმოების საშუალება, ერთხელ და სამუდამოდ შევეშვათ მასში დამნაშავის ძებნას.



**გოგი თოფაძე:** — უინსტონ ჩერჩილი აღნიშნავდა, მეწარმეში ზოგი — აგრესიულ მშიერ მგელს ხედავს, ზოგი მეწველ ძროხას, ზოგიც — ჯაფიერ ცხენს. მგელს სული უნდა გააფრთხობინო, ძროხა გამუდმებით წველო, — ასე სჯეროდათ იმ ზოგიერთებს. მხოლოდ გონიერები ხედავდნენ ჯაფიერ ცხენში ეკონომიკის ამძრავ ძალას. სამწუხაროდ, ნოღაიდელის მთავრობა ჩვენში მხოლოდ აგრესიულ მგელს ხედავს... საგადასახადო, საბაჟო და დამსჯელი ორგანოები — მეწველ ძროხას. ასეთი პოლიტიკით შორს ვერ წავალთ.

ვფიქრობ, ამ შეფასებებში გოგი თოფაძე მარტო არ უნდა იყოს...

**ელგუჯა ლეჟავა.**

აკრძალული ზონა

# სულიერი ცხოვრება შვებას მისცემთ

**საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უღმერთობის წლებიც არსებობდა. კომუნისტური წყობის პერიოდში საზოგადოების ნაწილი სასულიერო პირთა აზრს ნაკლებად იზიარებდა. მაშინ ცოტა ვინმე თუ ხვდებოდა, რამდენად დიდი იყო ისტორიული როლი მოძღვრისა და ეკლესიისა ჩვენს ცხოვრებაში. იმხანად ვერავინ იფიქრებდა, რომ მალე მღვდლებს ციხეებსა და კოლონიებში შეუშვებდნენ, სადაც სხვადასხვა რელიგიურ რიტუალებს აღასრულებდნენ.**



მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობისას საპატრიარქოსა და იუსტიციის სამინისტროს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად მღვდელმსახურებს საპყრობილეებში შესვლა და აქ რიტუალების ჩატარება შეუძლიათ.

გუშინდელი შემთხვევა კი უპრეცედენტოა. №1 საპყრობილეში 19 არასრულწლოვანი მოინათლა. აქედან ერთი ქურთია, რომელმაც ჩვენს რჯულზე მოქცევა გადაწყვიტა. დანარჩენები კი რუსები, სომხები და ქართველები არიან.

ნათლობის რიტუალი გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდლებმა მამა ირაკლი კუთხაშვილმა და მამა გიორგი გარდიშიანმა ჩაატარეს. რიტუალს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები დაესწრნენ.

მამა ირაკლი იმედოვნებს, რომ ამ მოზარდების ცხოვრება საგრძნობლად შეიცვლება. ისინი ფიზიკურის პარალელურად სულიერი ცხოვრებითაც იცხოვრებენ და სხვადასხვა რელიგიურ ადათ-წესებს აღასრულებენ.

მთაწმინდის წმინდა ნინოს ეკლესიის მღვდელმსახურის მამა მიქაელის თქმით, მისასალმებელია, რომ ბავშვმა 7 წლის ასაკიდან აღსარება ჩააბაროს. თუმცა დღეს 4-5 წლის ბავშვი ზოგჯერ ისეთ საქციელს სჩადის და ისეთ სიტყვებს ამბობს, რომ აუცილებელია მასში თავიდანვე გავაღვიძოთ სინანულის გრძნობა. მამა მიქაელი ამბობს, რომ პატარა ხშირად უნდა ეზიარებოდეს, ამ ყველაფერს კი ყურადღებას მშობელი უნდა აქცევდეს.

თავის დროზე ასე რომ მოექცეულიყავით, დღეს №1 საპყრობილეში 66 ბრალდებული არასრულწლოვანი, ალბათ, არ იქნებოდა, რომელთა უმრავლესობაც წვრილმანი ქურდობის გამო ზის.

**ლელა ხვადაგიანი.**

მთავრობა

# ელოდეთ 115 ლარს

**მთავრობის გუშინდელმა სხდომამ, რომელმაც 26 საკითხი განიხილა, იმსჯელა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტზე „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგებაზე", აგრეთვე — 2006 წლის ბოლომდე 300 მეგავატი სიმძლავრის კომბინირებული ციკლის გაზოტურბინაზე მომუშავე ელექტროსადგურის ასაშენებლად დაგეგმილ ღონისძიებებზე... პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტზე, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის შექმნას ითვალისწინებს...**

სხდომის დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ თბილისის აეროპორტის მშენებლობის ტენდერში ქართულმა მხარემ უპირატესობა თურქულ კომპანია „ჩელების" მიანიჭა. მაისში დამთავრდება კონტრაქტზე მუშაობა და, სავარაუდოდ, ივნისის დასაწყისში მშენებლობა დაიწყება.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა ისიც, რომ შპს „საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" პრივატიზების პროცესი დასრულდა და აქ გამარჯვებულმა ბრიტანულმა კომპანიამ „მერინ ქეპიტალმა" საქართველოს ხელისუფლების ანგარიშზე ბიუჯეტის სასარგებლოდ 93 მილიონი დოლარი გადმორიცხა. ეს თანხა ენერგეტიკის სფეროზე, არმიის მშენებლობაზე და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯება.

ნოღაიდელის განცხადებით, უახლოეს მომავალში „ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციის პროცესიც საბოლოოდ დასრულდება.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაცია „საოკეანო სანაოსნოს" საპრივატიზაციო კონკურსში გამარჯვებული კომპანიის მიერ საქართველოს ხელისუფლების წინაშე აღებული ვალდებულების დათქმულ ვადაში შესრულებაზე განავრცო ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა.

მისი თქმით, სანაოსნოს ახალი მფლობელი, კონტრაქტით გათვალისწინებულ სხვა პირობებთან ერთად, 12 წლის განმავლობაში შეინარჩუნებს არსებულ სამუშაო ადგილებს, განავითარებს ინფრასტრუქტურას, დააფინანსებს საზღვაო აკადემიას და დაფარავს 72 მილიონი დოლარის ოდენობის „საოკეანო სანაოსნოს" ვალს. კონკურსის პირობების თანახმად, ყველა გემი ქართული დროშის ქვეშ იცურავებს.

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებს ისიც აცნობა, რომ მაის-ივნისიდან ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს მინიმალური ხელფასი 115 ლარი გაუხდებათ. მთავრობის ეს გადაწყვეტილება აღსასრულებლად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უკვე გადაეცათ.

მთავრობა უახლოეს მომავალში მნიშვნელოვან სიახლეს გვპირდება, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს შედარებით გააუმჯობესებს.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

**— არსებობს თუ არა რაიმე შეღავათი პირველი ჯგუფის ინვალიდებისთვის საცხოვრებელ ბინაში ტელეფონის დადგმისა და გაზის გამოყვანის შემთხვევაში?**

**რევაზ კობეშავიძე.**

— მოქმედი კანონის შესაბამისად I და II ჯგუფის ინვალიდებისთვის ბინაში ტელეფონის დადგმისა და ბუნებრივი აირის გამოყვანის ღირებულების გადახდის დროს შეღავათი, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის.

**ირინე ღლონტი.**

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

⊙ სტატისტიკა

# აფხაზეთის კონფლიქტის დემოგრაფიული ექო

რამდენიმე ხნის წინათ სოხუმში გამომავალმა გაზეთმა „ეხო აფხაზიამ" აფხაზეთის მოსახლეობის აღწერის შედეგებზე გამოაქვეყნა ადგილობრივი ჟურნალისტის, ვინმე ვ. შარიას სტატია *„აღსრულდა – გამოქვეყნდა აფხაზეთის მოსახლეობის აღრიცხვის შედეგები"*. სტატიაში საკმაო ადგილი ეძღვნება იმ პერიპეტიებს, რომლებიც გადახდა ჟურნალისტს სტატისტიკური კრებულის „აფხაზეთი ციფრებში" ხელში ჩასაგდებად. ის წინააღმდეგობა, რაც მას გაუწია სეპარატისტული ხელისუფლების სტატისტიკური სამსახურის ხელმძღვანელობამ, ცალკე სიუჟეტის თემაა და კარგად მიანიშნებს სეპარატისტული რეჟიმის მიერ ინფორმაციის ღიაობის დონეს.

სტატია არანაკლებ საინტერესოა უშუალოდ მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ მონაცემებით. აღნიშნული პუბლიკაციის მიხედვით, მოსახლეობის რიცხოვნობა 2003 წლის დასაწყისში აფხაზეთში შეადგენდა 214016 კაცს; აქედან აფხაზები იყვნენ 44,1%, სომხები – 21,0%, ქართველები – 20,7%, რუსები – 11,0%....

ჯერჯერობით ფრჩხილებს გარეთ გავიტანოთ მოტანილი მონაცემების საიმედოობა (რაზეც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი" და განვახორციელოთ მათი შედარება მოსახლეობის 1989 წლის აღწერით მიღებულ მონაცემებთან.

2003 წელს 1989 წელთან შედარებით აფხაზეთის მოსახლეობა შემცირდა 311 ათასით – დაახლოებით 2,5-ჯერ. ამასთან, ამ შემცირების 37 პროცენტი მოდის არაქართულ მოსახლეობაზე. არაქართული (და არააფხაზური) მოსახლეობა აფხაზეთში შემცირდა 116,4 ათასით – 191922 კაციდან 75378 კაცამდე. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ აფხაზეთში 1990-იან წლებში დატრიალებულმა ტრაგედიამ არა მარტო ქართველების, არამედ ამ რეგიონში მცხოვრები ყველა ეთნოსისა და ეროვნების წარმომადგენლების ზურგზე გადაიარა.

**მოსახლეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე**

| | 1989 წ. | 2003 წ. | 1989 წელი პროცენტობით 2003 წელთან |
|---|---|---|---|
| **მოსახლეობა – სულ** | **525061** | **214016** | **40,8** |
| მათ შორის: | | | |
| აფხაზები | 93267 | 94597 | 101,4 |
| სომხები | 76541 | 44869 | 58,6 |
| ქართველები | 239872 | 44041 | 18,4 |
| რუსები | 74914 | 23420 | 31,3 |
| [illegible] | 40461 | 7069 | 17,5 |

მოსახლეობა შემცირდა აფხაზეთის ყველა რაიონის, ქალაქის, მსხვილი დასახლებული პუნქტის მიხედვით. ასე მაგალითად, ოჩამჩირეში 2003 წელს 1989 წელთან შედარებით მოსახლეობა შემცირდა 4,3-ჯერ, გულრიფშში – 3,0-ჯერ, სოხუმში – 2,7-ჯერ, გაგრაში – 2,5-ჯერ, გალში – 2,2-ჯერ, გუდაუთაში – 2,0-ჯერ. (იხ. დანართი).

ამავე დროს, მოტანილი მონაცემები რამდენადმე მაინც შელამაზებულია და რეალური დემოგრაფიული სიტუაცია აფხაზეთში გაცილებით მძიმეა. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ სეპარატისტების სტატისტიკით, 2003 წელს 1989 წელთან შედარებით აფხაზეთის ტერიტორიაზე მკვეთრად შემცირდა ყველა ეთნოსის წარმომადგენლის რიცხოვნობა, გარდა აფხაზებისა. მაგალითად, რუსების რაოდენობა აფხაზეთში შემცირდა თითქმის 3-ჯერ, უკრაინელებისა – 6-ჯერ, ესტონელებისა – 3,3-ჯერ და ა. შ. იმავე პერიოდში, შედარებისათვის, საქართველოს დანარჩენ, „კონტროლირებად ტერიტორიაზე", შემცირდა როგორც სხვა ეთნოსის წარმომადგენლების, ისე ავტოქტონური ერის (ქართველების) რიცხოვნობა, თვით არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან იძულებით ადგილნაცვალი პირების რიცხოვნობის გათვალისწინებითაც კი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პირდაპირი საბრძოლო დანაკარგები აფხაზებისათვის 1992-1993 წლების კონფლიქტში შეადგენდა დაახლოებით 3 ათას კაცს.

დემოგრაფიული სიტუაცია აფხაზეთში ომისშემდგომ პერიოდში კიდევ უფრო დამძიმდა. თანაც იმდენად, რომ 2003 წელს ადგილობრივი მთავრობის დონეზე სერიოზული შეშფოთება გამოითქვა აფხაზი მოსახლეობის ბუნებრივი მატების მდგომარეობაზე, ხაზი გაესვა რა, აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესრულებაზე მეტად, აფხაზური გენოფონდის გადარჩენის აქტუალობას.

ამიტომ, **საუბარი 2003 წლის მდგომარეობით აფხაზეთში 94 ათასზე მეტი აფხაზის ცხოვრების შესახებ – ეს პროპაგანდისტული მითია და არა რეალობა.** ეს ციფრი მოიცავს ყველას, ვისაც კი აფხაზეთში ოჯახი აქვს დატოვებული და თვითონ, სხვადასხვა მიზეზით, უკვე რამდენიმე წელი გადახვეწილია.

ამ მოსაზრებასვე უნდა ადასტურებდეს 2003 წლის ბოლოს სეპა-



რატისტული ხელისუფლების მიერ ოფიციალურად დეკლარირებულ ხმის უფლების მქონე მოსახლეობისა და საპრეზიდენტო არჩევნებში ფაქტობრივად მონაწილეთა რიცხოვნობაც, რის მიხედვითაც დღეის მდგომარეობით აფხაზეთის ფაქტობრივი მოსახლეობა არ უნდა აღემატებოდეს 170 ათასს კაცს (გალის რაიონის ძველ საზღვრებში დაბრუნებული ქართული მოსახლეობის ჩათვლით". ეს კი ნიშნავს, რომ სეპარატისტთა სტატსამსახურის მიერ გამოქვეყნებული რიცხვი დაახლოებით 45 ათასით მაინც უნდა შემცირდეს; შესაბამისად, აფხაზეთში დღეისათვის, ფაქტობრივად, მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს 50 ათასს კაცს.

დავუშვათ, სეპარატისტთა მიერ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობა მართლაც 94 ათასია. ამ შემთხვევაში ბუნებრივად იბადება კითხვა: **რამდენადაა ამ შემთხვევაში ეს საზოგადოება დემოკრატიული და ღია?! – ხომ წარმოუდგენელია, რომ ღია, თავისუფალ, დემოკრატიულ საზოგადოებაში იზრდებოდეს მხოლოდ ერთი ეთნოსის წარმომადგენლების რაოდენობა** (საომარი მოქმედებებით მიყენებული დემოგრაფიული ზარალის მიუხედავად) **და ყველა დანარჩენი ეთნოსის წარმომადგენლების რაოდენობა კი მკვეთრად მცირდებოდეს.** ამიტომ, ორიდან ერთია: ან დღევანდელ აფხაზეთში ადგილი აქვს ეთნიკური ჰეგემონიზმის ნიშნებს და სხვა ეთნოსის წარმომადგენლების იძულებას სახელმწიფოებრივ დონეზე, დატოვონ აფხაზეთი, ან სეპარატიზმის ლიდერები უბრალოდ ტყუიან, როდესაც მათ მიერ მართულ საზოგადოებას „ამშვიდებენ", თითქოს აფხაზთა რაოდენობა იქ მართლაც 94 ათასია.

აშკარაა, რომ სეპარატისტთა ლიდერები ცრუობენ და აფხაზთა ფაქტობრივი რაოდენობა მათ მიერ დასახელებულ ციფრზე თითქმის ორჯერ ნაკლებია.

მაინც რატომ შემცირდა ასე აფხაზეთის მოსახლეობა, აგრესიის ობიექტი ხომ ძირითადად ქართველი ეთნოსი იყო? რამ აიძულა რუსები, სომხები, თავად აფხაზები გასცლოდნენ ამ მიწა-წყალს? მარტო მიგრაციის გამო აფხაზეთმა ხომ თითქმის 15-ჯერ მეტი ეთნიკური აფხაზი დაკარგა, ვიდრე დაიღუპა საომარი კონფლიქტის დროს.

ჩემი ღრმა რწმენით, მთავარი მიზეზი შემდეგშია: **ქართული ეთნოსი ომამდე იყო არა მარტო ყველაზე მრავალრიცხოვანი მრავალეროვან აფხაზეთში, არამედ ამ რეგიონის დოვლათის, ეროვნული სიმდიდრის შექმნაში ყველაზე დიდი წვლილის შემტანი.** ბუნებრივია, სამხედრო კონფლიქტს და **ქართველთა ფაქტობრივ ეთნიკურ წმენდას მოჰყვა ყველა სხვა ეთნოსის წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. ამიტომაც, რუსები, სომხები, სხვა ეროვნების წარმომადგენლები, თავად აფხაზები, აფხაზეთს განერიდნენ, პირველ რიგში, გაუსაძლისი ეკონომიკური პირობების გამო.**

1980-იან წლებში აფხაზეთის მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდებოდა 3-4 ათასით. რომ არა 1990-იანი წლების დასაწყისში დატრიალებული ტრაგედია, ხსენებული ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, 2003 წელს აფხაზეთის მოსახლეობა არანაკლებ 580 ათასს მიაღწევდა, ანუ იქნებოდა სეპარატისტების მიერ დეკლარირებულ მონაცემზე 2,7-ჯერ მეტი და დღეის მდგომარეობით ამ რეგიონის ფაქტობრივ მოსახლეობაზე 3,4-ჯერ მეტი.

სტატისტიკა ითვლის ფაქტობრივ ზარალს, მათ შორის დემოგრაფიულ ზარალს, მაგრამ ძნელია ციფრებში გამოხატო ის ადამიანური ტრაგედია, რაც ომმა დაატეხა ამ რეგიონის ქართულ და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს, მათ შორის თავად აფხაზურ გენოფონდს. სეპარატისტული ლიდერების მიერ შეპირებულ შვეიცარიამდე დღეს გაცილებით შორსაა აფხაზეთი, ვიდრე 1992 წლის 14 აგვისტოს. ეხლა ძნელია განსაზღვრო, თუ როგორი იქნებოდა სეპარატისტთა ლიდერების ქმედებები იმ შემთხვევაში, თუ მათ ომის დაწყებამდე ეცოდინებოდათ იმ კატასტროფის შესახებ, რასაც მათი პოლიტიკა მოუტანდა საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხესა და მის მრავალეროვნულ მოსახლეობას, თავად აფხაზ ხალხს. თუმცა პირადი ამბიციებით გამსჭვალულებს წინასწარ კი არა, პოსტ-ფაქტუმაც არ უნდათ რეალური ციფრებით აპელირება, რაზეც სოხუმში გამოცემული სტატისტიკური კრებულიც მეტყველებს...



**იოსებ არჩვაძე.**

*დანართი*

**აფხაზეთის მოსახლეობა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით 1989 და 2003 წლებში**

| | 1989 | 2003 | 2003 წელი პროცენტობით 1989 წელთან |
|---|---|---|---|
| მოსახლეობა – სულ | 525061 | 214016 | 40,8 |
| მათ შორის: | | | |
| ქ. სოხუმი | 119150 | 43716 | 36,7 |
| სოხუმის რაიონი | 39516 | 11747 | 29,7 |
| გაგრის რაიონი | 77079 | 37002 | 48,0 |
| მათ შორის: | | | |
| ქ. გაგრა | 26800 | 10717 | 40,0 |
| ბიჭვინთა | 11000 | 3842 | 34,9 |
| გუდაუთის რაიონი | 57534 | 34896 | 60,7 |
| მათ შორის: | | | |
| გუდაუთა | 15300 | 7738 | 50,6 |
| ახალი ათონი | 4300 | 1308 | 30,4 |
| გულრიფშის რაიონი | 54962 | 17962 | 32,7 |
| მათ შორის გულრიფში | 10697 | 3575 | 33,4 |
| ოჩამჩირის რაიონი | 75388 | 24629* | 32,7 |
| მათ შორის ოჩამჩირე | 20078 | 4702 | 23,4 |
| ტყვარჩელის რაიონი | - | 14777* | X |
| მათ შორის ტყვარჩელი | 21744 | 4786 | 22,0 |
| გალის რაიონი | 79688 | 29287** | 36,8 |
| მათ შორის გალი | 15763 | 7169 | 45,5 |

* **სეპარატისტული ადმინისტრაციის მიერ ყოფილი გალის რაიონის ტერიტორიის მიერთების გათვალისწინებით.**

* * **ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებისათვის გადაცემული დასახლებული პუნქტების მოსახლეობის გამოკლებით.**

⊙ ინფორმაცია

## ცრუებო, ფრთხილად, თორემ დაგიჭერენ!

**ბუშინ შს სამინისტროს თანამშრომლებმა ცრუ სატელეფონო შეტყობინების ავტორი დააკავეს.**

**როგორც „ინტერ-პრესს" შს სამინისტროში განუცხადეს, 21-22 აპრილს, დაახლოებით 08.30 საათზე, საპატრულო პოლიციის ტელეფონზე თბილისის №23 საშუალო სკოლაში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ სატელეფონო შეტყობინებები შევიდა.**

**გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-ანალიტიკური ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ამ შეტყობინებების ავტორი 14 წლის გიორგი ბასიაშვილი იყო, რომელიც საპატრულო პოლიციაში მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე სატელეფონო ჯიხურებიდან რეკავდა. მან ჩადენილი დანაშაული აღიარა.**

**დაკავებულის განმარტებით, მან საპატრულო პოლიციაში გაკვეთილების გაცდენის სურვილით, „სკოლაში დაბალი ნიშნების მიღების" თავიდან ასაცილებლად დარეკა.**

## ყალბაქციზიანი და უაქციზო სასმელები

**ფინანსური პოლიციის იმერეთის ოპერატიულმა სამმართველომ შპს „მწვერვალი-96" შეამოწმა და საწარმოს საამქროში, სადაც მზა პროდუქცია ინახება, ყალბაქციზიანი და უაქციზო სასმელები აღმოაჩინა.**

**საწარმო შუშხუნა ღვინო „იმერეთს", „იმერეთი 2000"-ს და არაყ „იმერეთს" უშვებს. შემოწმების პროცესში გაირკვა, რომ რამდენიმე ბოთლზე ერთი და იგივე ნომრისმქონე აქციზი იყო დაკრული. გარდა ამისა, ბევრ ბოთლს ერთხელ უკვე გამოყენებული აქციზი ჰქონდა მიმაგრებული. ამჟამად, ღვინის ხარისხის შესასწავლად ექსპერტიზა ტარდება.**

**როგორც ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზაზა მეფარიშვილმა განაცხადა, ამ ეტაპზე უკვე იკვეთება ყალბი დოკუმენტების გამოყენება, აღურიცხავი პროდუქცია და ფალსიფიკაცია, დეტალებს კი გამოძიება გაარკვევს.**

## ძაღლმა პოლიცია პატრონთან არ მიუშვა

**საპატრულო პოლიციამ უგონო მდგომარეობაში მყოფი მძღოლი აღმოაჩინა თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, შალიკაშვილის სახელობის ხიდის ქვეშ გაჩერებულ ავტომანქანაში.**

**მძღოლს მანქანაში ძაღლიც ჰყავდა, რომელიც პოლიციას პატრონთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა. ამის გამო, სამართალდამცველებმა დაზარალებულისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დროულად ვერ შეძლეს.**

**სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ მძღოლი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მას ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარდება.**

## ვინც უქვითროდ დარჩა

**„თბილგაზის" უქვითროდ დარჩენილი აბონენტებისთვის კომპანიის ბიზნეს-ცენტრები შაბათ-კვირასაც იმუშავებს.**

**როგორც „ინტერ-პრესს" „თბილგაზში" განუცხადეს, ის აბონენტები, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო ბოლო თვეების განმავლობაში ქვითრები ვერ მიიღეს, ვისთანაც ბინაში მრიცხველის წამკითხველი არ მისულა, 23-24 აპრილს რაიონულ ბიზნეს-ცენტრებში უნდა მივიდნენ.**

**– სპეციალურად შაბათ-კვირას იმუშავებს ყველა რაიონის ბიზნეს-ცენტრი, სადაც აბონენტებს ადგილზე მისცემენ შესაბამის ქვითარებს. მარტოხელა მოხუცებსა და გადაადგილების უნარშეზღუდულ პირებს შეუძლიათ დარეკონ ტელეფონზე 20-04-04, სადაც ჩაიწერენ შესაბამის ინფორმაციას და მეორე დღესვე „თბილგაზის" თანამშრომლები მათ თავად მიუტანენ შესაბამის ქვითარს, – განაცხადეს „თბილგაზში."**

## ნაწლავური ინფექცია გამოვლინდა

**ზუგდიდსა და ქუთაისში ნაწლავური ინფექციის შემთხვევების გამოვლენის გამო, საქართველოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მუშაჯგუფი ვითარების ადგილზე გასაცნობად გაემგზავრა.**

**სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელის დავით მესხიშვილის განცხადებით, სპეციალისტები წყალსაკანალიზაციო სისტემის მდგომარეობას შეისწავლიან და შესაბამის ღონისძიებებს გაატარებენ.**

**რამდენიმე ხნის წინათ, ზუგდიდში, ენგურკომბინატის დასახლებაში, ნაწლავური ინფექციის ჯგუფური შემთხვევა აღირიცხა. ინფექციების გავრცელების ლოკალური შემთხვევა გამოვლინდა ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე, სადაც 27 პირს დაავადება წყალსაკანალიზაციო სისტემის დაზიანების შედეგად განუვითარდა.**

## აფხაზებს საპატრულო მანქანებითაც ამარაგებენ

**თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო უახლოეს ხანებში 60 მსუბუქ ავტომანქანას მიიღებს, რის შემდეგაც უწყებას სადღეღამისო პატრულირების საშუალება მიეცემა.**

**ამის შესახებ სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა სახალხო კრების – პარლამენტის დეპუტატებთან შეხვედრაზე განაცხადა.**

**გარდა ამისა, შემოდგომისთვის სოხუმში მანდარინის მიმღები და გადამამუშავებელი ახალი ქარხანა აშენდება. უკვე მოიძებნა ინვესტორი, რომლის ექსპერტები აფხაზეთში უახლოეს დღეებში ჩავლენ და ახალი ქარხის ადგილმდებარეობას განსაზღვრავენ.**

**ანქვაბის განცხადებით, ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს აფხაზეთში წარმოებათა უმეტესობის რეანიმაციისთვის. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში ქალაქ ტყვარჩელში რეალურად დაიწყება ნახშირის მოპოვება და ინვესტორები მზად არიან, წარმოებების ამოქმედების დაფინანსებასთან ერთად, კონკრეტული სოციალური პროგრამები დააფინანსონ.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ განათლება

# ჩვენს „ევროპელობას" მალე ევროპული სტანდარტის დიპლომიც დაამტკიცებს?

**ახალგაზრდები ირჩევენ საქართველოს მომავალზე, მის წარმატებაზე ორიენტირებულ ხარისხიან უმაღლეს განათლებას – ასეთია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ერთობლივი დასკვნა.**

**სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე განათლების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის პირველადი მონაცემები გააცნეს საზოგადოებას.**

**ამ მომენტისათვის დამუშავებულია 30400 აბიტურიენტის მოთხოვნა, ხოლო დამუშავების სტადიაში 900-მდე განაცხადია.**

**გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ პრაქტიკულად ყველა სპეციალობაზე აბიტურიენტთა მაღალი მოთხოვნაა, რაც, მათი აზრით, უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.**

რომელი ფაკულტეტები და სპეციალობები აინტერესებთ აბიტურიენტებს უპირატესად? – ეს კითხვა წლეულს მეტად აქტუალური გახდა.

ინფორმატიკა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, ტრანსპორტი და ტურიზმი – ეს ის სპეციალობებია, რომლებზეც, რეგისტრაციის პირველადი მონაცემების მიხედვით, დიდია აბიტურიენტთა დაინტერესება. ამ ტენდენციას გამოცდების „მესვეურნი" საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ზრდითა და დიდი სატრანსპორტო პროექტების განვითარებით ხსნიან. ამავე დროს დიდია მოთხოვნა ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის სპეციალობების მიმართაც.

– არ გამართლდა რეფორმების მოწინააღმდეგეთა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა საბუნებისმეტყველო და მათემატიკური პროფილის ფაკულტეტებს მიმზიდველობას დაუკარგავდა, – განაცხადა ბელა წიფურიამ, – ეს ვარაუდი ემყარებოდა მათ მცდარ შეხედულებას ქართველი აბიტურიენტის „სიზარმაცის" შესახებ – თითქოსდა მეოთხე საგნად მათემატიკის ჩაბარების აუცილებლობა მათ უბიძგებდა უფრო „იოლი გზა" მოენახათ და განაცხადი იმ ფაკულტეტებზე გაეკეთებინათ, სადაც მათემატიკა არ ბარდებოდა. სინამდვილეში, უკვე პირველადი მონაცემებიდან ჩანს, რომ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე საკმაოდ მაღალი საკონკურსო პირობებია.

მართლაც საინტერესო ტენდენციაა: თუ ახლო წარსულში უმრავლესობის „ფავორიტი" ეკონომისტის, იურისტის ან თუნდაც, ექიმის პროფესია იყო, მისასალმებელია, რომ ახლა მზარდი მოთხოვნით სარგებლობენ. სახელოვნო და სპორტული პროფილის სპეციალობებიც. ამ ფაქტს პრესკონფერენციის ორგანიზატორები მსოფლიო არენაზე ქართული საშემსრულებლო ხელოვნებისა და სპორტის ბოლოდროინდელი და შთამბეჭდავი წარმატებებით ხსნიან.

იმედია, მომავალი სტუდენტები საკუთარ ქვეყანას სპორტისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში გაუთქვამენ სახელს. დაწყება კი, თუნდაც ფეხბურთით შეიძლება.

ზოგიერთი საინტერესო მონაცემი 10 უმსხვილესი უნივერსიტეტის შესახებ:

| უნივერსიტეტი | ადგილების რაოდენობა | ჯამური განაცხადი |
|---|---|---|
| სტუ | 3552 | 18591 |
| თსუ | 2962 | 37650 |
| ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი | 852 | 2809 |
| თსუ სოხუმის ფილიალი | 801 | 6438 |
| ბათუმის უნივერსიტეტი | 673 | 9718 |
| სულხან-საბა სახ. უნივერსიტეტი | 595 | 4440 |
| სამედიცინო უნივერსიტეტი | 539 | 3421 |
| ქუთაისის უნივერსიტეტი | 534 | 4348 |
| აგრარული უნივერსიტეტი | 508 | 1146 |
| სპორტის აკადემია | 407 | 2777 |

მათთვის კი, ვისაც რაიმე შეკითხვაზე ან სასურველ სპეციალობაზე ადგილების რაოდენობის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება სურს, მაია მიმინოშვილი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ეპატიჟება. ინტერნეტის სარგებლობის წესები აქ არა მხოლოდ აბიტურიენტის კარგი განათლების დონეს გამოცდის, არამედ, სასურველი სპეციალობის კოდის აკრეფის შემთხვევაში, სათანადო ინფორმაციასაც მიაწვდის.

პრესკონფერენციის ორგანიზატორთა „დამაიმედებელი შედეგების" გასაზიარებლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს **ლევან გახელაძეს** მივმართეთ და რეფორმის სხვადასხვა მხარის ავკარგიანობის შესახებ კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ. ამასთან, საინტერესო იყო, იზიარებს თუ არა „თანამებრძოლთა" ენთუზიაზმს და კმაყოფილია თუ არა იგი გადადგმული ნაბიჯებით.

***– გასულ წლებში აბიტურიენტთა რიცხვი გაცილებით სჭარბობდა. რამ გამოიწვია ასეთი ვარდნა და ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ახალი წესების, ვადებში შეზღუდვის ან უსახსრობის ბრალია?***

– ამ დროისათვის განაცხადი შემოიტანა 31500-მა აბიტურიენტმა. სავარაუდოდ მათ 1000-მდე კიდევ დაემატება. ვფიქრობ, ეს ვარდნას სულაც არ ნიშნავს, პირიქით. საქართველოს მასშტაბით გახსნილი იყო 76 სარეგისტრაციო პუნქტი. ამჟამად მხოლოდ ერთ მორიგე სარეგისტრაციო პუნქტში გრძელდება იმ აბიტურიენტთა განაცხადების მიღება, რომლებიც კანონით დადგენილ ვადებში საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა ან უცხოეთში ყოფნა) ვერ გამოცხადდნენ რეგისტრაციის გასავლელად. ეს პროცესი 30 ივნისამდე გაგრძელდება. შესაბამისად, აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს პირველ შემთხვევაში საექიმო დასკვნა, უცხოეთში ყოფნის დასტურად კი – ვიზა და ბილეთები. მორიგე პუნქტები უცხოეთის მოქალაქეებისთვისაც იმუშავებენ. ვიმედოვნებთ საინგილოს, რუსეთის, თურქეთის და ირანის აბიტურიენტთა აქტივობასაც.

***– უმაღლესში ჩაბარებისას ნიშნებს ყურადღება არ ექცევა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ დაიჩაგრება ამით ფრიადოსანი მოსწავლე, რომელსაც უნებლიე შეცდომის გამო დანარჩენის, თუნდაც სამოსანი მოსწავლის მსგავსად შეაფასებენ?***

– თუ ახალგაზრდა ბეჯითი და ფრიადოსანია, მან ეს გამოცდაზე უნდა დაადასტუროს. ტესტებში დავალებები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მოცემული, ამიტომაც ერთი შეცდომით მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება. წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა დონის კითხვები და შეფასებაც, შესაბამისად, განსხვავებული იქნება. მაგალითად, ტესტურ კითხვებში მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

***– ვისგან დაკომპლექტდება ტესტების გამსწორებელთა კომისია?***

– გამსწორებელთა ჯგუფის 80 პროცენტი საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი პრაქტიკოსი მასწავლებლებისაგან შედგება, ხოლო 20 პროცენტი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები იქნებიან. ზოგადი უნარის ტესტები ხელით კი არა, მანქანური წესით გასწორდება.

***– რეფორმა უშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებშიც განხორციელდა. გაჩნდა კანცლერის თანამდებობა. რა ევალება მას და ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ფაკულტეტების გაერთიანება და ახალი დეკანების დანიშვნა სწავლის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედებს, გაერთიანებით ხომ ბევრი კარგი ფაკულტეტი იკარგება?***

– კანცლერი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ყველაზე მაღალი სამეურნეო თანამდებობაა. დღემდე რექტორი ითავსებდა აკადემიურ და სამეურნეო მართვის ფუნქციებს. ეს არასწორია, რადგან მან მხოლოდ აკადემიურ და კვლევით პროცესებს უნდა უხელმძღვანელოს. კანცლერს რექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო და იგი საბიუჯეტო პროცესებს განაგებს. კანონმა უმაღლეს სასწავლებლებს ფართო ავტონომია მიანიჭა და ეს მათი არჩევანია.

მეორე მხრივ, უმაღლესი განათლების სისტემა ხელშეკრულების საფუძველზე ეტაპობრივად უნდა გახდეს ევროპული მოდელის მსგავსი. ჩვენს მიერ გაცემული დიპლომები ევროპამ უნდა აღიაროს. ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან მიერთება სასწავლო პროგრამის თავსებადობასაც ნიშნავს, რაც გულისხმობს, რომ საბაკალავრო კურსები უფრო ფართო პროფილურია. სპეციალიზება სამაგისტროზე ხდება, ხოლო უფრო ვიწრო სპეციალიზაცია – დოქტორანტურის ეტაპზე.

გვსურს, რომ ევროპული მოდელი ჩვენს სისტემასაც ეთანხმებოდეს. ეს არც კადრებზე, არც სწავლის ხარისხზე არანაირ უარყოფით გავლენას არ მოახდენს.

***– უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობამ გაიარა აკრედიტაცია, თუმცა, ბევრი მათგანი „თამაშგარე" მდგომარეობაში აღმოჩნდა. რამდენი უმაღლესი სასწავლებელი ირიცხება ამჟამად ოფიციალურად საქართველოში და ხომ არ ფიქრობთ, რომ მათში ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ცენტრის არსებობა შეფასებისას ზედმეტად თვალსაჩინო, ზედაპირული კრიტერიუმია? ხომ არ იქნება უკეთესი, აქცენტი პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციაზე, სწავლის დონესა და დასაქმების პერსპექტივაზე გაკეთდეს?***

– საქართველოში 227 უმაღლესი სასწავლებელია რეგისტრირებული. მათგან 110-მა გაიარა აკრედიტაცია. იგი ორი საფეხურის მიხედვით ხდება: ინსტიტუციური და პროგრამული. ამჯერად ინსტიტუციური აკრედიტაცია განხორციელდა, ხოლო 2 წელიწადში განათლების დონესა და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციას პროგრამული აკრედიტაციის ჩატარებით შევამოწმებთ. გამორიცხული არ არის, რომ პირველის მსგავსად აქაც ბევრი „თამაშგარე" მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

***– კმაყოფილი ხართ რეფორმის პირველი შედეგებით?***

– დიახ, პირველადი მონაცემებით კმაყოფილი ვართ. მალე რეფორმა ზოგად განათლებასაც შეეხება. სექტემბრიდან ცვლილებები მოხდება სასკოლო განათლებაშიც, რაც უმაღლესში დანერგილზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება: სკოლების თვითმმართველობა, თანხების დამოუკიდებლად განკარგვა და ა. შ. ერთი წლის შემდეგ ამაზე უფრო დაწვრილებით საუბარს შევძლებთ.

***– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სამინისტრო სასკოლო გრანტების კონკურსს ატარებს. რა პრიორიტეტებია და რამდენი გამარჯვებული გამოვლინდა?***

– სასკოლო გრანტების კონკურსი არცთუ ისე ხშირად ტარდება. პირველად 2 წლის წინათ გაიმართა და 210-მა სკოლამ მიიღო 1000 დოლარის ოდენობის თანხა. ახლა მეორე კონკურსი ტარდება, სადაც თანხა 3000 დოლარამდე გაიზარდა. სავარაუდოდ, გამარჯვებულ სკოლათა რაოდენობა 300-350-ს მიაღწევს. გრანტირების პრიორიტეტი სასწავლო პროცესში. ინოვაციის შემოტანაა და არამც და არამც არ გულისხმობს პედაგოგთა მატერიალურ წახალისებას. მიღებული თანხა მხოლოდ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და გამრავალფეროვნებას უნდა მოხმარდეს.

* * *

**მაშასადამე, გაწეული მუშაობითა და პირველი შედეგებით სამინისტრო კმაყოფილია. კმაყოფილია იმდენად, რომ სულ რამდენიმე თვეში უმაღლეს სასწავლებლებში „წესრიგის დამყარებისა" და „რევოლუციის" შემდეგ სასკოლო განათლების რეფორმასაც შეუდგებიან...**

**იქნება კი ეს „რევოლუცია" „ხავერდოვანი"? – ამას დროს გვიჩვენებს.**

**ნინო ბერძნიშვილი.**

# საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. საქართველოს** ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, 0105, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, შიდამიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით, მიგრანტთათვის სოციალური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აცხადებს ღია ტენდერს საცხოვრებელი სახლების მიწოდებასთან დაკავშირებულ მომსახურების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად გიწვევთ ყველა დაინტერესებულ პირს.

აღნიშნული მომსახურების ფარგლებში მონაწილე პირების მიერ შემოთავაზებული უნდა იქნეს საცხოვრებელი სახლები შემდეგი რეგიონების მიხედვით:

- წალკა – 120 სახლი
- თეთრი წყარო – 79 სახლი
- კახეთი – 40 სახლი
- რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 126 სახლი

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის ბინების მიწოდებით მომსახურება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების დღიდან 2005 წლის ბოლომდე.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, წარმოდგენილი უნდა იქნეს 2005 წლის 9 მაისიდან 13 მაისის 18 სთ-მდე ზემოხსენებულ მისამართზე, სამინისტროს კანცელარიაში – მე-3 სართული, ოთახი №303.

3. ტენდერში მონაწილის სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსის ნომერს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) სახელს და გვარს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობას რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ცნობას რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6. უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს მათი ქვეყნის შესაბამისი ორგანოებიდან.

7. დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

8. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 17 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით მისამართზე: ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, სატენდერო კომისიის აპარატი.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ირმა სანიკიძე, მისამართზე: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მე-3 სართული, ოთახი №303.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტიის ფორმით.

11. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სატენდერო კომისია.**

## განცხადება

**2004 წლის 4 აგვისტოს** სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სარფის საბაჟოს გავლით „MAN“-ის ტიპის ა/მანქანით სახელმწიფო ნომრით GIR-863 CAM-858 კავშირგაბმულობის მოწყობილობების განსაკუთრებით დიდი ოდენობით საბაჟო წესების დარღვევით შემოტანის ფაქტზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის წერილით ს/ს „აკვაფონ ჯიესემი“ საქართველოში რეგისტრირებული არ არის, მოცემულ აპარატურას კანონიერი მესაკუთრე არ გააჩნია.

იმ პირებს, რომელთაც პრეტენზია აქვთ აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით, მოთხოვნები წარადგინონ კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქეთევან წამებულის №1) პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში.

**მოსამართლე: პ. ნოზაძე.**

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

**ივანე ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა/წლის 26 აპრილიდან 5 ივლისამდე ატარებს უფასო კონსულტაციებს, უნივერსიტეტში სწავლის მსურველ აბიტურიენტებთან, მათემატიკაში და ზოგად უნარ-ჩვევებში.

კონსულტაციები ჩატარდება კვირაში ორჯერ, 14 საათიდან, თსუ მაღლივი კორპუსის IX სართულზე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ, აბიტურიენტთა სარეგისტრაციო პუნქტში, რეგისტრაციის გავლის დამადასტურებელი ცნობა (რაც გაქვთ ხელზე).

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით თსუ გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატს 10-დან 15 საათამდე, ყოველდღე, გარდა კვირისა.

**მისამართი – თსუ მაღლივი კორპუსი, IX სართული, დეკანატი, ტელ: 30-40-19.**

საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილებით მიმდინარეობს **შპს „დილას“** (რეგისტრირებული ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ 2001 წლის 10 აპრილს, რეგისტრაციის № 7/4-1766) ლიკვიდაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ლიკვიდატორს მისამართზე:
**ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ. № 30, ტელ/ფაქსი 76-81-58.**

# განცხადება ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს საპატრულო პოლიციისა და სამხედრო უნიფორმის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი.**

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | ქუდი წინაფრიანი | 1793 |
| 2 | ქუდი თბილი | 1793 |
| 3 | [illegible] | 20367 |
| 4 | [illegible] | 20250 |
| 5 | [illegible] | 18072 |
| 6 | [illegible] | 1195 |
| 7 | [illegible] | 5379 |
| 8 | [illegible] | 4932 |
| 9 | [illegible] | 5379 |
| 10 | [illegible] | 8568 |
| 11 | [illegible] | 1195 |
| 12 | [illegible] | 7172 |

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 13 | [illegible] | 1793 |
| 14 | [illegible] | 11179 |
| 15 | [illegible] | 3586 |
| 16 | [illegible] | 7172 |
| 17 | [illegible] | 4239 |
| 18 | [illegible] | 7762 |
| 19 | [illegible] | 3308 |
| 20 | [illegible] | 27032 |
| 21 | [illegible] | 21516 |
| 22 | [illegible] | 11344 |
| 23 | [illegible] | 10753 |
| 24 | [illegible] | 3808 |

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 6 მაისის 10 საათიდან 11 მაისის 17 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

2. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი).

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**3.1 იურიდიული პირებისთვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**3.2 ფიზიკური პირებისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4. დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზევით აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენენ მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ცნობებს და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 2005 წლის 18 მაისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ: 75-47-74, 899-23-46-95.

**სატენდერო კომისია.**

[1] **უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**

◎ მკლავჭიდი

## ახალი ვარსკვლავების აღმოსაჩენად

**საქართველოს მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციის თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დედაქალაქის ღია პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 300-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: მემარცხენეები – ჯაბა გეთიაშვილი (70 და 80 კგ.), აბო რეხვიაშვილი (90 კგ.) და ვახტანგ ვახტანგიშვილი (მძიმე წონა); მემარჯვენეები – ალეკო ფრეწუაშვილი (60 კგ.), ნიკო მათიაშვილი (70 კგ.), ვანო კბილაშვილი (80 კგ.), გიორგი წამალაშვილი (90 კგ.), გენადი კვიკვინია (100 კგ. და აბსოლუტური), ზურაბ კელიხაშვილი (მძიმე წონა).**

– მსოფლიო ჩემპიონებს ამ შეჯიბრებაზე გამოსვლის უფლება



არ მივეცით, – მითხრა საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა **სოსო ჯაჭვლიანმა,** – რადგან ახალი ვარსკვლავების აღმოჩენა გვინდოდა. ვარაუდმა გაამართლა. როგორც ასპარეზობამ გვიჩვენა, საქართველოში მართლაც ძალიან ძლიერი მკლავჭიდელები გვყავს, ამიტომაცაა, რომ ჩვენი წარმომადგენლები წარმატებით გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე. ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონმა მამუკა ფაჯიშვილმა მეორედ დაიმსახურა „ნიუ-იორკის მეფის“ ტიტული. მწირი მატერიალური შესაძლებლობები გვაქვს, თორემ წარმატებები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა.

მართალია, მკლავჭიდი ოლიმპიური სახეობა არ არის, მაგრამ მასაც სჭირდება მეტი ყურადღება. მით უმეტეს, რომ ისეთ დიდ ქვეყნებში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონიაა, წლის საუკეთესო სპორტსმენებს სწორედ არაოლიმპიური სახეობებიდან ასახელებენ.

იმედია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი მეტად დაინტერესდება მკლავჭიდით, რომლის წარმომადგენლებსაც ბევრ ქვეყანაში აუჟღერებიათ ეროვნული ჰიმნი გამარჯვებების აღსანიშნავად.

ქართველი ათლეტები ახლა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

**ეკა ტუკვაძე.**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ ჭიდაობა



## პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი იზრდება

**საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ვარნაში ევროპის ჩემპიონატზე ერთი ოქროს და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც დადებითად შეფასდა ამას წინათ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე. ჩემპიონსა და პრიზიორებს წარმატება მიულოცეს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გია გალდავამ, ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა გურამ საღარაძემ, პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ციმაკურიძემ.**

ორივე ნაკრების მთავარმა მწვრთნელებმა – ზაზა თურმანიძემ და ბეგი დარჩიამ კმაყოფილება გამოთქვეს სპორტსმენთა მომზადებაზე. ორგზის მსოფლიო და ხუთგზის ევროპის ჩემპიონმა ლუკა (ელდარ) კურტანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ თანადგომისა და გულთბილი შეხვედრისთვის...

ცნობილმა ფალავანმა გიორგი მაკასარაშვილმა დარბაზში მყოფთ წარუდგინა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, ცნობილი ბიზნესმენი ვალერი გელაშვილი, რომელიც რეგულარულად ეხმარება ფალავნებს. იმ დღესაც ფულადი ჯილდოები გადასცა ევროპის ჩემპიონსა და პრიზიორებს, თან განაცხადა, რომ ფედერაციის პრეზიდენტად თუ ამირჩევენ, ყოველწლიურად მოჭიდავეთა დასაფინანსებლად 100 ათას დოლარს გავიღებო.

ფედერაციის არჩევნები, მოგეხსენებათ, 4 მაისს გაიმართება. პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი იზრდება: ბაკურ გოგიტიძე, ვალერი გელაშვილი, კახა გეწაძე, თემურ ყაზარაშვილი... ვინ იქნება შემდეგი?

◎ ეს საინტერესოა

**შალვა ქორიძე.**

## ტოტი: მზა ფეხბურთში პაპმა დამლოცა

**რომის პაპი იოანე პავლე II ფეხბურთის დიდი მოყვარული იყო. ახალგაზრდობაში მშობლიური კრაკოვის კლუბში თამაშობდა, ვატიკანში დასახლების შემდეგ კი ხშირად იღებდა ფეხბურთელებს და გზას ულოცავდა.**

გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელი ფრანჩესკო ტოტი იგონებს: – მოსწავლე ვიყავი. მთელი კლასი იოანე პავლე II-სთან შეხვედრაზე წავედით. საუბარი რომ დამთავრდა, პაპი ჩემთან მოვიდა (დიახ, დიახ, მაინცდამაინც ჩემთან!), შუბლზე ხელი დამადო და მაკოცა. ახლაც მახსოვს, როგორ ვიგრძენი მისი უზარმაზარი ენერგია, რომელიც გადმომედო. ამისათვის მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში პაპის დიდი მადლიერი ვიქნები.

◎ ჭადრაკი

## მხოლოდ ქალები ითამაშებენ

**წლეულს ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის თასისთვის, რომლის გათამაშებასაც ტრადიციულად, საჭადრაკო კლუბი „ნგნ“-ი მასპინძლობს, მხოლოდ ქალები ითამაშებენ. ტურნირში წინასწარვე დაუშვეს მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი და მაია ლომინეიშვილი. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოუთქვამთ ნანა იოსელიანსა და ქეთევან არახამიას, ასევე, ამერიკის ჩემპიონ რუსუდან გოლეთიანს, აზერბაიჯანელ ფირუზა ველიხანლის და სომეხ ლილით მკრტიჩიანს.**

ნონას თასის გათამაშების დანარჩენი მონაწილეები შესარჩევმა ტურნირმა გამოავლინა. ესენი არიან სოფიკო გვეტაძე, ინგა ჭარხალაშვილი, სოფიკო ხუხაშვილი და სოფიკო ნიკოლაძე.

ფინალური ეტაპი 24-26 მაისს გაიმართება.

◎ მინიფეხბურთი

## ვლადიმერ გუცაევის თასზე

**ამას წინათ** დამთავრდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ღია პირველობა (მთავარი მსაჯი – იუსტიციის პოლკოვნიკი ტრისტან ნიშნიანიძე) მინიფეხბურთში ცნობილი ფეხბურთელისა და იურისტის – ვლადიმერ გუცაევის თასზე. შეჯიბრება, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა, სამინისტროს ხელმძღვანელობისა და გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტის (თავმჯდომარე ზაურ გოშაძე) თანადგომით გაიმართა. როგორც ამ ტურნირის სულისჩამდგმელებმა და ორგანიზატორებმა იუგა ჭარბაძემ და გოჩა ბიკაშვილმა გვამცნეს, ორთაბრძოლები დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ფინალში იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი ექსპერტიზის დეპარტამენტის ნაკრებმა 2:0 სძლია სააღმსრულებლო დეპარტამენტის გუნდს და პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულებს მთავარი პრიზი თვით პარლამენტარმა ვლადიმერ გუცაევმა გადასცა. მესამე ადგილებზე გავიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის „ფარი“ და საბადრაგო სამსახურის გუნდი. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ზვიად ფხაკაძე აღიარეს.

ბატონმა იუგამ გვითხრა, რომ შეჯიბრების მთავარი მიზანი იყო იუსტიციის თანამშრომელთა შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის განმტკიცება და ამ უწყების მინიფეხბურთელთა ნაკრების ჩამოყალიბება. შარშან აქაურ ფეხბურთელებს საჯარო სამსახურის მუშაკთა პროფკავშირის ყოფილი თავმჯდომარის – ვალერი რევიშვილის ხსოვნის პრიზზე მესამე ადგილი დაუკავებიათ. ისინი წლეულსაც აპირებენ ტურნირებში მონაწილეობას, მათ შორის – კახის რაიონის ფეხბურთელებთან (საინგილოსა და თბილისში) ამ-



ხანაგური მატჩების გამართვა აქვთ განზრახული და უპირველესად, იუსტიციის მინისტრის, ფეხბურთის დიდი ქომაგის კოტე კემულარიას და პროფკომიტეტის თავმჯდომარის ზაურ გოშაძის დახმარების იმედი აქვთ.

**მარინე სააკიანი.**

◎ ოლიმპიადა – 2005

## „სპორტის დედოფალმა“ დახუ-



იულია დუბინა.



**თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების უნივერსიადა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (უფროსი გია უდესიანი) იყო.**

ბოლო შეჯიბრებას ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა. მძლეოსნურ სექტორებზე მკლავისა და მუხლის ძალა „სპორტის დედოფლის“ წარმომადგენლებმა მოსინჯეს. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას: **100 მ.** მარიამ ინაშვილი (ენისა და კულტურის უნივერსიტეტი) და ლადო გაბუნია (სტუ) **400 მ.** ქეთევან აბრამიძე (თსუ) და ალეკო მურჯიკნელი (სამედიცინო უნივერსიტეტი), **800 მ.** ქეთევან აბრამიძე. **1500 მ.** გიორგი მურჯიკნელი (სამედიცინო უნივერსიტეტი). **ესტაფეტა 4X100 მ.** თსუ და სპორტის აკადემია. **ბირთვი.** მარიამ ქევხიშვილი და მამუკა ტუღუში (ორივე – სპორტის აკადემია), **სიგრძეზე ხტომა.** იულია დუბინა (სტუ) და ბოლესლავ სხირტლაძე (სპორტის აკადემია).

უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული ორთაბრძოლების დამთავრების შემდეგ შეჯამდა საბოლოო გუნდური შედეგები. ჯგუფების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**I ჯგუფი. 1. თსუ, 2. სპორტის აკადემია, 3. სტუ.**

**II ჯგუფი. 1. შსს აკადემია, 2. ზოოვეტი, 3. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი.**

**III ჯგუფი. 1. სამხატვრო აკადემია, 2. ენისა და კულტურის უნივერსიტეტი, 3. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

დღეს დილომში, ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში, თბილისის 2005 წლის უნივერსიადის გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება.

**ლექსო ცინცაძე.**

## განცხადება
### ს/ს „ქუთაისის ავტოქარხნის“ მორიგი კრების მოწვევის შესახებ

**ს/ს „ქუთაისის ავტოქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია იწვევენ სააქციო საზოგადოების აქციონერებს მორიგ კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 20 მაისს 14 საათზე, ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის №88-ში მდებარე ს/ს „ქუთაისის ავტოქარხნის“ სხდომათა დარბაზში.**

**დღის წესრიგი:**

**1. 2004 წლის შედეგები, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში.**

**(ქ. ალშიბაია – ს/ს „ქუთაისის ავტოქარხნის“ მთ. ბუღალტერი).**

**(ს. სვანიძე – ს/ს „ქუთაისის ავტოქარხნის“ აუდიტი)**

**(თ. ცაგარეიშვილი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე).**

**2. სამეთვალყურეო საბჭოს ხარჯთაღრიცხვა 2005 წლისათვის.**

**(ვ. ზვიადაძე – ს/ს „ქუთაისის ავტოქარხნის“ ეკონომისტი).**

**3. 2005 წლის აუდიტის არჩევა.**

**(თ. ცაგარეიშვილი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე).**

**კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 20 აპრილი.**

**დღის წესრიგის საკითხის გამო დაწერილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექტორატში, ტელეფონი: 7-50-21, 7-26-95.**

**კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელები ან მათი წარმომადგენლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში 2005 წლის 20 აპრილს, 18 საათზე „ICT დელამენი“ (თბილისი, დავით აღმაშენებლის 153. ტელ: 94-14-91; 94-18-28.).**

**ს/ს „ქუთაისის ავტოქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭო, დირექცია.**

◎ სპორტულ ორბიტაზე

## პოლიტიკოსებიც ემზადებიან

**ფეხბურთში მომავალი, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელსაც გერმანიამ უნდა უმასპინძლოს, მარტო ფეხბურთელები კი არა, პოლიტიკოსებიც ემზადებიან.** გერმანიის უმაღლესი ხელისუფლება ცდილობს, სახალხოდ გამოავლინოს თავისი საფეხბურთო ჩვევები. ქვეყნის კანცლერი გერჰარდ შრედერი ბერლინში, თავისი



კანცელარიის დერეფანში „ფეხბურთის მეფესთან“ – პელესთან ვარჯიშობს...

## მორიგდებიან?



**მადრიდის „რეალი“ დიდად დაინტერესდა ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელით რუდ ვან ნისტელროოით. ესპანურ სამეფო კლუბს განზრახული აქვს ჰოლანდიელი ფეხბურთელის წლევანდელი სეზონის ბოლოსათვის ხელში ჩაგდება.**

კომპენსაციის სახით, ესპანელები მზად არიან „მანჩესტერ იუნაიტედს“ შესთავაზონ ფორვარდი მაიკლ ოუენი.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №7

*„ნეტავი დამეკარგოს მეხსიერება“... — თვალცრემლიანს აღმოხდა ოთხმოცდაათი წლის კოლაუ ნადირაძეს... და მაინც, მას ყველაფერი ახსოვდა: 1924 წელს დახვრეტილი ვაგონები, ფიცრებს შორის რომ გადმოდიოდა სისხლი... ღამ-ღამობით, იარაღით რომ იჭრებოდნენ ქართველი ინტელიგენციის ოჯახებში და ე.წ. ექჰმიტანილებს საწოლებშივე ხვრეტდნენ... ახსოვდა 30-იანი წლების რეპრესიებიც და მედროვეთა ხანგრძლივი ტაში, აღტაცებული შეძახილებით... ახსოვდა მწერალთა კავშირის ოფიციოზის უსასტიკესი კრებები და შთამომავლობით განწირული ადამიანები — მისი უსაყვარლესი მეგობრები...*

*თითქოს უკვე ყველაფერი ითქვა: იმ რეჟიმზეც, მსხვერპლზეც, ჯალათებზეც...*

*„თაობა მიდის, თაობა მოდის. ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე, — ასე ამბობდა ეკლესიასტე, — ყველა მდინარე ზღვებისკენ მიედინება, ზღვა კი მაინც არ აღივსება. მდინარენი საითკენაც მიედინებოდნენ, კვლავ იქითკენ მიედინებიან. რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება — არაფერია მზის ქვეშ ახალი“...*

*განმეორადობის კანონი ყოველი მოვლენის ნამდვილი არსის გაგებაზე მიგვანიშნებს.*

*ცნებითი გაგება ალბათ, იმასაც ნიშნავს, რომ პირველი მოვლენა კავშირშია მეორესთან, რომ ობიექტური სამყაროს პირისპირ ჩვენი გამოცდილებით უნდა წარვსდგეთ... და ხშირად, ძალიან ხშირად, ზნეობრივი მაგალითები უნდა გავიხსენოთ... ვინაიდან ყველა დიდაქტიკურ შეგონებაზე მეტად ქმედითია მაგალითის ძალა... ჩვენ არ ვიცით რა იქნება ხვალ...*

*ხომ ვვარაუდობდით, რომ ე.წ. „ჩაშვების ინსტიტუტი“ და ანონიმური „დანოსების“ პრაქტიკა საქართველოში ვერ ამუშავდებოდა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, დღესაც აქტიურად მუშაობს!.. ალბათ ყველა ეპოქაში იქნება მედროვეთა მარტივი და აგრესიული ერთობა და ეს რეალური სიმრავლე ყოველთვის ტრადიციულ გათიშულობას წარმოშობს პიროვნებებთან, ანუ ინდივიდუალურ სულთან...*

# „და დაიჩქარეს კვლავ იაშვილი, როგორც უბირი ბიჭი“...

## განმეორდება თუ არა ყოველივე?







მწერალმა როდიონ ქორქიამ კოლაუ ნადირაძის მეუღლეს, ქალბატონ ნორა ნადირაძეს 1982 წლის 14 ნოემბერს წერილი გაუგზავნა. მაშინ, დღეს უკვე ჩვენთვის ცნობილ ამ ფაქტზე, მოგონების გამოქვეყნება შეუძლებელი იყო. დრომ ეს ბარათი საარქივო დოკუმენტად აქცია.

**ქალბატონო ნორა!**

ეს ამბავი მოხდა 45 წლის წინათ. ეს მოგონებაც მაშინაა დაწერილი. მაგრამ მაშინ ამისი გამოქვეყნება არ შეიძლებოდა.

არა მგონია, რომ ახლაც გაბედოს რომელიმე რედაქციამ.

ქ-ნო ნორა! ყველანი ხომ სიკვდილის შვილები ვართ.

ჰოდა, როცა ჩვენ არ ვიქნებით, ვინმე მწერალი, ან მეცნიერი უეჭველად დასწერს მონოგრაფიას: „მწერალ ნიკოლოზ ნადირაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ და გამოიყენებს ამ მოგონებას.

ამიტომ თქვენ უნდა შეინახოთ ეს მომავლისათვის. ამაზე ძვირფასი და საამაყო ეპიზოდი განა შეიძლებოდა იმ დროს? ეს გააკეთა თქვენმა მეუღლემ-მეგობარმა კოლაუმ და ჩემმა თანამოკალმე მწერალმა, რომლის მეგობრობა ჩემთვის ყოველთვის საამაყო იყო!..

გაკოცებთ ხელზე — მე ძველი ოფიცერი ვარ!

პატივისცემით მწერალი **როდიონ ქორქია**

14.X.82 წ.

**1937 წელს ერთ-ერთ საჯარო კრებაზე ბერიამ განაცხადა: პოეტი პაოლო იაშვილი 42 წლის კაცია და ჭკუა ვერ ისწავლაო...**

**ყველა მიხვდა, რომ ეს იყო მუქარა. ხოლო ბერიას დამუქრებას რა მოყვებოდა, ეს ყველამ იცოდა.**

**პაოლო იაშვილი ვაჟკაცი კაცი იყო და არ დაუცადა მოსალოდნელ ხიფათს. დატენა თავისი სანადირო თოფი და მოვიდა მწერალთა კავშირში.**

**ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს ცაზე შავი ღრუბლები იყო დაწოლილი და ყოველდღე ისმოდა სისხლიანი ჭექა-ქუხილი. ამიტომ პაოლო იაშვილი მწერალთა კავშირში ცივად მიიღეს. იმ დღეს გამგეობის სხდომაც იყო მოწვეული.**

**პაოლო მიხვდა ყველაფერს: არც მისალმება, არც ღიმილი, არც ხელის გამოწოდება.**

**მიხვდა ყოველივე ამას პაოლო და გამოვიდა ფოიეში. ფოიეში იდგა მინაში ჩადგმული ვიტრინა: ვიტრინაში — ერთში — ლომი ფაფარაყრილი იყო ჩადგმული. მეორეში ჭრელი ვეფხვის საშიში თავი. ორივე თავი ძალზე ლამაზი იყო და როგორც მწერლები, ისე მოსული ხალხი, ხშირად ჩერდებოდნენ ვიტრინასთან და უღრანი ტყეების ამ ორ სისხლიან სილამაზეს უყურებდნენ.**

**პაოლო იაშვილი დადგა ლომსა და ვეფხვს შუა. გამოჰკრა ფეხი ჩახმახს და გაწვა იქვე, როგორც თვითონაც ლომი და ვეფხვი.**

**პაოლო იაშვილი ხომ გარეგნობით ლომსაც გავდა და ვეფხვსაც... დიდი ვაჟკაცური აღნაგობისა იყო. ქართული აღნაგობის...**

**მოახსენეს ბერიას პაოლოს სიკვდილი. ბერიამ გასცა განკარგულება:**

**— „იაშვილის დაკრძალვას დაესწროს მხოლოდ მისი ოჯახი. არც ერთი მწერალი და არც ერთი ნათესავი და საპატიოდ მოსული არ ვნახო იქ...“**

**გამოიძახა ერთი მეთვალყურე და დაავალა თავისი განკარგულების შესრულების მეთვალყურეობა.**

**და დაკრძალეს პაოლო იაშვილი, როგორც უბირი ვინმე.**

**მეორე დღეს მეთვალყურე მოხსენებით წარუდგა ბერიას და უპატაკა: თქვენი განკარგულება შესრულებულიაო.**

**— მაშასადამე, დაკრძალეს როგორც მინდოდა, — კმაყოფილებით წარმოსთქვა ბერიამ და სათვალეები შეისწორა.**

**ქვეყანას, მოვლენებს და ადამიანებს ბერია სათვალეებიდან უმზერდა. სათვალეები კი ხშირად როდია მართალი. ალბათ ამიტომ გაიმეორა ბერიამ:**

**— მაშასადამე, დაკრძალეს, როგორც ეკადრებოდა!**

**— არა, ამხანაგო ლავრენტი! — დასძინა მეთვალყურემ, — ერთი მწერალი მაინც დაესწრო.**

**— რაო? — შეიკრა წარბები ბერიამ, — ვინ გაბედა? ვინ იყო ის ერთი?**

**— ის ერთი იყო მწერალი კოლაუ ნადირაძე!**

**ბერიამ შეკრა მუშტი, დაარტყა მაგიდას და წამოიძახა ის, რაც მეორე დღეს ყუმბარასავით გახმაურდა ქალაქში.**

**— ყოჩაღ, კოლაუ ნადირაძე! ვაჟკაცი ყოფილა! ხელი არ ახლოთ!**

**ჩვენ მწერლებმა გავიგეთ ეს წამოძახილი. გაგვეხარდა ყველას, მაგრამ სიხარულის გამომჟღავნებისა შეგვეშინდა. ყველამ პირში წყალი დავიგუბეთ.**

**დრო იყო ასეთი: შიშისა და სიჩუმისა, ლაჩრობისა და თავის დაზღვევის, დრო ქართული რაინდობის დაკარგვის...**

**მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა ერთადერთი ქართველი მწერალი, რომელმაც შეინარჩუნა ქართველი ხალხის ხასიათი, იმედიანი გახედვა მომავლისაკენ, მეგობრობისა და ადამიანური კეთილშობილებისაკენ.**

**იმედისაკენ!**

**მაშასადამე, ყველა კარები არაა დახშული მომავლისაკენ!..**

**იმ დღეს კოლაუ ნადირაძემ ქვეყნის მომავლისკენ იმედის ფანჯარა გააღო...**

* * *

1937 წ. თბილისი.

კოლაუ ნადირაძის ჩანაწერი, გაუგზავნელი წერილი მეგობარს:

**— ჩემო საყვარელო, განუმეორებელო პაოლო...**

**შენ მირონცხებულ ჭეშმარიტ პოეტად იყავი ამქვეყნად მოვლინებული, მაგრამ არ დაგცალდა ერის წინაშე ამ ღვთაებრივი ვალის მოხდა, რაზედაც ოცნებობდით შენ და შენი განუყრელი ძმები: გრიგოლი, ტიციანი, ვალერიანი, სანდრო, სერგო, შალვა, მე...**

**შენ მხოლოდ საკუთარი სისხლისა და ტვინის დაქცევის ფასად მოიხადე ეს ვალი და დაიცავი, როგორც ვაჟკაცმა, როგორც ნამდვილმა რაინდმა შენი პატიოსნება, შენი ღირსება.**

**მე მწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვასაც შეიცავს შენი სიკვდილი. დღეს, სინდისის ქეჯნის ოდნავი ნიშნის გარეშე დადიან ჯალათნი იმ ადამიანთა შორის, რომელნიც თავიანთ დიდებაში ღრმად დარწმუნებულნი, ამაყად დასეირნობენ, როგორც ფარშავანგები სისხლითა და ძვლებით გაპოხილ ჩვენს მშობლიურ მიწაზე...**

**მაგრამ რაც სისხლით დაიწერა, მას არ მოელის წაშლა, პაოლო, ჩემო წამებულო ძმაო...**

* * *

ეს ის თაობაა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ყველაზე პარადოქსული მდგომარეობა, თუ როგორ ხდებოდა უსაშინლეს ზრახვათა განხორციელება, თავისი დანიშნულებით უფაქიზესი ინსტრუმენტის — პოეტის და მწერლის გამოყენებით.

სწორედ მწერალთა ყრილობებზე ისმოდა და ლიტერატურული გაზეთების მოწინავეში იბეჭდებოდა ყველაზე გამანადგურებელი სიტყვები: **„მათ ქვეშ მიწა უნდა იწვოდეს! ზიზღი სამშობლოს მოღალატეებს, უსასტიკესი განაჩენი მათ!“**

შეიძლება თუ არა დავარქვათ ამას ქართული სულის კრიზისი? რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან ამ ეპოქისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ინდივიდების სულიერი პროტესტია და სიცოცხლის ფასად საკუთარი ღირსების გადარჩენის მცდელობა.

ასე გადაარჩინეს მათ მწერლის სახელიც.

პარადოქსია ისიც, რომ ზნეობრივ მაგალითებს სწორედ ტოტალიტარული ეპოქები გვიჩვენებდნენ. თავისუფლება კი რატომღაც ბევრად უფრო ძნელი გამოცდა აღმოჩნდა.

**ნინო ხოფერია.**

---

გულისმაყრუჭიანი

# 1993 წლის 5 ივლისს, კომანში...

***„რა არის ასკეტური ცხოვრების არსი?“ — ასე ერქვა მასალას, რომელიც „კვირაძალს საკითხავის“ VI ნომერში გამოქვეყნდა. იქ ბერ მამა ანდრიას სურათიც იყო დაბეჭდილი.***

***მამა ანდრია გახლდათ საოცარი, უკვე ლეგენდად ქცეული პიროვნება. ვინაიდან თქვენს გაზეთში ამის შესახებ არაფერი თქმულა, საჭიროდ ჩავთვალეთ, კიდევ ერთხელ მოგვეთხრო მისი მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ...***

***ისტორიულად ცნობილია, რომ გმირები და წმინდანები ხშირად სრულიად ჩვეულებრივი ბიოგრაფიის ადამიანები ხდებიან.***

***მამა ანდრია (ერისკაცობაში პაატა ყურაშვილი) დაიბადა 1966 წელს, დაბა ბაღდათში. სკოლის დამთავრების შემდეგ საერთო სამხედრო სამსახური მოიხადა და ბაღდათშივე, ბადეების საქსოვ საწარმოში დაიწყო მუშაობა.***

***დროთა განმავლობაში შემთხვევით გაიგო, რომ ბავშვობაში, როდესაც მონათლეს, წესის აღმსრულებელი არანამდვილი, თვითმარქვია მღვდელი ყოფილა. იგი ხელახლა მოინათლა დიმის წმინდა გიორგის ეკლესიაში და თანდათანობით შეუდგა სულიერების გზას...***

24 წლის პაატა ყურაშვილი (შემდგომ მამა ანდრია) მისი სულიერი მოძღვარის, მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით საეკლესიო მსახურებას იწყებს... როგორც იგონებენ, ის გამორჩეული იყო მამათა შორისაც... უყვარდა განსაკუთრებული განმარტოება და ბევრს და მხურვალედ ლოცულობდა...

ომის დროს იგი მღვდელთმსახურობისთვის აფხაზეთში, კომანის წმ. იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად მიავლინეს.

1993 წლის 5 ივლისს, როდესაც კომანი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა, მამა ანდრიამ მრევლით სავსე ეკლესიაში, გარეგნულად მშვიდად ჩაატარა ღამისთევის ლოცვა, ყველასგან აღსარება ჩაიბარა და თითქოს სიკვდილის მოლოდინში მყოფი ადამიანები ზიარებისთვის მოამზადა.

ძნელია წარმოიდგინო იმ ღამეს მოძღვრის ყოველ სიტყვას მინდობილი მრევლის სულიერი განცდები... შეუძლებელია აღწერო ის სულისკვეთება, რომელიც სოხუმიდან თხუთმეტი კილომეტრით მოშორებულ, კომანის პატარა ეკლესიაში სუფევდა... ეს იყო მამა ანდრიას უკანასკნელი საღმრთო ლიტურგია...

სამი დღით ადრე მან მეუფე დანიელისგან კურთხევა მიიღო, რომ დაეტოვებინა აფხაზეთი და თბილისში წასულიყო, მაგრამ მამა ანდრიამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი მრევლის გვერდით ყოფნა არჩია...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომანს ერთი წლის მანძილზე იცავდა ასკაციანი ქართული სამხედრო შენაერთი. იმ საბედისწერო დღეს სულ ოცდათხუთმეტი მებრძოლიღა იყო დარჩენილი... ცოტა ხნით ადრე მათაც მიუვიდათ ბრძანება, რომ უკვე წაგებული ტერიტორია დაეტოვებინათ... ბიჭები მაინც ადგილიდან არ იძვროდნენ... მამა ანდრიამ ისინი ყველა აკურთხა, აღსარება მიიღო და აზიარა...

დილის ხუთის ნახევარზე, როცა კომანის ეკლესიას ალყა შემოარტყეს, მრევლი ნაზიარები იყო...

გარეთ ოცდათხუთმეტი ქართველი მებრძოლი სისხლის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, პირისპირ იბრძოდა 1500-კაციანი კბილებამდე შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ და ყველა ბრძოლის ველზე დაეცა... საქართველოს ისტორიამ უნდა შემოინახოს სამშობლოს და მოყვასის სიყვარულით ანთებული ამ ბიჭების ვინაობა. ჩვენთვის მხოლოდ რამდენიმე მათგანის სახელი და გვარია ცნობილი: **ზაზა პაკელიანი, გუნტერ გულედიანი, ანზორ სუბელიანი, ეგნატე კვიციანი, თამაზ ჩხეტიანი, ადამ გვიჩიანი, ვალოდია და მალხაზ კახიანები, გოგი და ანზორ გვიჩიანები, ალექსანდრე გამსახურდია, ელგუჯა გვიჩიანი...**



მამა ანდრია.

იმავე ალყაშემორტყმულ მრევლთან ერთად იმყოფებოდა კომანის ეკლესიის აღმდგენელი, ქველმოქმედი აფხაზი გიორგი (იური) ანუა, რომელმაც იმ ღამეს, 5 ივლისს, პირველად ჩაიცვა სტიქარი... ტაძარში შეჭრილმა მტრებმა პირველად სწორედ ის გაიყვანეს და წამებით მოკლეს. ცოტა ხნის მერე გაიყვანეს მამა ანდრიაც, რომელიც მუხლებზე დადგა და ლოცვა დაიწყო. თვითმხილველები ამბობენ, რომ როდესაც ჯალათი მამა ანდრიას მიუახლოვდა, მის მზერას ვერ გაუძლო, შემოაბრუნა და უკნიდან ესროლა კისერში. მამა ანდრია ზურგით დაეცა, თავი არ მოუდრიკა მკვლელს...

თვითმხილველები შემდგომ ასეთი სასწაულის წინაშე აღმოჩნდნენ: იმ ივლისის თაკარა სიცხეში მიცვალებულის სხეული დღეების მანძილზე უხრწნელი რჩებოდა და კისრის ჭრილობიდან ისევ ისე მოედინებოდა სისხლი...

ალყაშემორტყმული ეკლესიის მრევლიდან რამდენიმე ადამიანი სასწაულებრივად გადარჩა. მათ შორის აფხაზ გიორგი ანუას ცოლ-შვილიც. ისინი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით თბილისში, საპატრიარქოში დააბინავეს...

**დღეს საპატრიარქოს მონაზონთა შორის ერთ-ერთი ძალიან სათნო დედა მარიამი საქართველოსთვის შეწირული აფხაზის — გიორგი ანუას მეუღლეა...**

ალბათ ყველამ უნდა იცოდეს საქართველოს უახლესი ისტორიის დღევანდელი დღეების მატიანეც — წამებულთა და გმირთა დაუვიწყარი მაგალითები...

**გიორგი მაჩურიშვილი,**
**თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი.**

---

# ფერეიდნელი ქართველი „მთიებთან“



ანსამბლი „მთიები“.

*თქვენი გაზეთიდან გავიგეთ, რომ ლონდონში გამომავალ ქართულენოვან ჟურნალს „თანამემამულე“ აქვს ასეთი რუბრიკა: „სხვა საქართველო“, სადაც ფერეიდანში, საინგილოსა და თურქეთში მცხოვრები ქართველების ბედზეა საუბარი... ეს ჩვენთვისაც ძალიან მახლობელი თემაა...*

*ჩვენი ფოლკლორული ანსამბლი „მთიები“, რომელიც 1981 წელს დააარსა ედიშერ გარაყანიძემ, ყოველთვის დაინტერესებული იყო იმ ეთნოგრაფიული და ხალხური ტრადიციების ნიმუშებით, რომელიც ე.წ. „პირიქითა საქართველოშიცაა“ შემორჩენილი.*

შარშან, შემოდგომაზე გვეწვია ფერეიდნელი ქართველი **ახმად მოლიანი (კახა მოლიაშვილი)**, რომელმაც დიდი ინტერესით მოისმინა და ვიდეოფირზე გადაიღო ჩვენი რეპერტუარი: სხვადასხვა კუთხის რამდენიმე **„ალილო“, „ბატონები“, „იავნანა“, „აკვნის ნანები“, „ღვთის კარზე სათქმელი იავნანა“...** საგალობელი, ფერხულები, ტრადიციული, ძველი თამაშობები, რომელთაც თავიანთი სიმბოლური დატვირთვა აქვთ...

ყოველი ნომრის წინ ანსამბლის ხელმძღვანელი **გიგი გარაყანიძე** ფოლკლორული ნიმუშის წარმომავლობას და იმ მნიშვნელობას განმარტავდა, თუ რისთვის სრულდებოდა ისინი...

**— ჩემო დებო და ძმებო!..** — ასე მოგვმართა კონცერტის ბოლოს ფერეიდნელმა სტუმარმა. ისაუბრა ჩვენი ერთად ყოფნის აუცილებლობაზე. გვითხრა, რომ იმ სიმღერების, ცეკვების თუ თამაშობანის ნაწილი, რაც ამ შეხვედრაზე მოისმინა და ნახა, ფერეიდნელთა ისტორიულ მეხსიერებასაც შემორჩა და მათმა მამა-პაპებმა თაობიდან თაობაში ქართველობის დასტურივით შემოინახეს...

კახა მოლიაშვილმა (ახმედ მოლიანმა) გამგზავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ შემოგვითვალა, რომ კასეტა, რომელიც კონცერტზე გადაიღო, გაამრავლა და ახლა ის ფირები ფერეიდნელი ქართველების საოჯახო რელიკვიაა...

**თინათინ შერვაშიძე,**
**ანსამბლ „მთიების“ წევრი.**

ვინ არის ის ქალი...

# პრინცესა Lize de Georgie – ელისაბედ ორბელიანი

გასულ საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს სამხატვრო აკადემიაში, ახლად გახსნილ ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის დამაარსებლის, პროფესორ ლეო რჩეულიშვილის წყალობით თავი მოიყარეს ცნობილმა მეცნიერებმა, დახვეწილმა ინტელიგენტებმა. ახალგაზრდა პედაგოგებს გვხვდა ბედნიერება ხშირად მოგვესმინა თავად ბატონ ლეოს, აგრეთვე ვახტანგ ბერიძის, კოტე ჩოლოყაშვილის, ბაბო დადიანის ვაჟის გიორგი მასხარაშვილის და სხვათა არაჩვეულებრივი მახვილი დაკვირვებებით, ზოგჯერ ცრემლნარევი იუმორით სავსე ზეპირი მემუარები XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ამაღლებული და ტრაგიკული ფურცლების, ეპოქის თვალსაჩინო პერსონების შესახებ.

ერთ-ერთ ასეთი შეხვედრის დროს ვახტანგ ბერიძემ სიყვარულით გაიხსენა არაჩვეულებრივი ქალბატონი – ელისაბედ ორბელიანი, ბავშვობაში უცხო ენებს რომ ასწავლიდა. მას მერე აღარ გამკვირვებია, რატომ იყვნენ განცვიფრებული უცხოელი კოლეგები ბატონ ვახტანგის დახვეწილი ფრანგულით.

ქართული ლიტერატურის მუზეუმში სხვა რარიტეტებთან ერთად დაცულია უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული ახალგაზრდა ქალის საპარადო პორტრეტი. დახვეწილი გარეგნობა, ვარცხნილობა, სამოსი, ამაყი მზერა ნათელ წარმოდგენას იძლევა მის სოციალურ მდგომარეობაზე, ადგილზე საზოგადოებაში.

ლამაზი და გაცისკროვნებული ახსოვდა იგი ოჯახის მეგობარს, შემდგომში ნობელიანს, ავსტრიელ მწერალ ქალ ბერტა ზუტნერს.

ელისაბედი დაიბადა 1871 წელს. დედა – თამარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი იყო. მამის მხრივ გოგონა ერეკლე 11-ის შთამომავალი იყო. მამამისი და თავად ელისაბედი გრუზინსკებად იწოდებოდნენ. ბავშვობიდანვე გარს ბონები და გუვერნანტი ქალები ეხვია. ბრწყინვალე განათლება პარიზში მიიღო. ოჯახთან ერთად ხანგრძლივად ცხოვრობდა საზღვარგარეთ – იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. ევროპაში მოგზაურობისას ღრმად გაეცნო მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობას. მათ სახლში ინახებოდა ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. დედისგან ერგო მემკვიდრეობით პოეზიის და მუსიკის სიყვარული. მშობლიურივით ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. გრუზინსკების პალაცო ვენეციაში მაღალი წრის საზოგადოებისა და ინტელექტუალების თავშეყრის ადგილი იყო.

1895 წელს ელისაბედი დედასთან და დასთან ერთად დაბრუნდა საქართველოში. სამი წლის შემდეგ ბედი დაუკავშირა მამუკა ორბელიანს. მათ ორი შვილი შეეძინათ– ერეკლე და თამაზი. ერთი ცნობილი პიანისტი გახდა და წარმატებულ საკონცერტო კარიერას ეწეოდა ევროპაში და ამერიკაში, მეორე – თამაზი კი უცხო ენის სპეციალისტი იყო.

ელისაბედ ორბელიანი ახალგაზრდობიდანვე გატაცებული იყო პოეზიით. წერდა ფრანგულად. ფსევდონიმად აირჩია **„Sazan d ary“.** მისი პოეზიის ერთადერთი კრებული თბილისში 1910 წელს გამოიცა.

ის, რომ გარკვეულ დრომდე ელისაბედმა არცთუ კარგად იცოდა მშობლიური ენა, ზოგჯერ მსუბუქი გაკილვის საგანი ხდებოდა. მისდამი მეგობრული დამოკიდებულებით აკაკი წერეთელმა თავისი ფოტოსურათი აჩუქა სახუმარო წარწერით:

**ფრანციცულად გიყვარს წერა,**
**რუსულს თარგმნი, ქართულს – ვერა**
**მაგრამ შენი ქართველობის**
**გეფიცები, მაინც მჯერა.**

ელისაბედ ორბელიანი საკმაოდ ინტენსიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. მრავალი წელი მუშაობდა ფრანგული ენის სახელმძღვანელოს შექმნაზე.

ელისაბედის სალონის ცნობილ ალბომში ინახება ბევრი გამოჩენილი ადამიანის ავტოგრაფი: მათ შორის ვაჟას, აკაკის, გრიშაშვილის, შალიაპინის, ბალმონტის, იან კუბელიკის, ფრანსუა კოპეს და სხვათა ჩანაწერები.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ხანმოკლე პერიოდში ელისაბედ ორბელიანმა სცადა ენების ბრწყინვალე ცოდნა მშობლიური ქვეყნის სამსახურში გამოეყენებინა და მსოფლიოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. 1919-20 წლებში რედაქტორობდა გაზეთებს „თავისუფალი საქართველო“ და „საქართველოს რესპუბლიკა“ (ორივე ფრანგულ ენაზე) და „საქართველოს მოამბე“ (ინგლისურ ენაზე). 1918 წელს იგი მიიწვიეს ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში ინგლისური ენის ლექტორად.

საშემო გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში სრულად გამოჩნდა მისი განათლების მასშტაბი, უმაღლეს საზოგადოებასთან დასახლებს ამოცნის მეგობრების სიღრმე: – „ბაგონებო! დიდი მილერაპეთი გამოდევნარ თქვენს წარმოსახვა, რადგანაც გათვალისწინებული მაქვს მწვეთის სიღრმე და განსაკუთრებით ვაფასებ იმ პატივს, რომელიც წილად მხვდა მე. ეხსნით ჩვენს საკუთარ უნივერსიტეტს და ამით ხელახლა ენასაკეთი ჩვენი კულტურის შუქურგულ ძაფს“... რა იყო მერე? ამაზე თავის მემუარებში არაჩვეულებრივად მოგვითხრობს მისი ყოფილი მოწაფე აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე. 30-იან წლებში ვახტანგი, ვაგო, როგორც ახლობლები უწოდებდნენ, ენების შესასწავლად მიაბარეს ელისაბედ ორბელიანს, რომელიც მაშინ წყნეთის ქუჩაზე (ამჟამინდელ მელიქიშვილის ქუჩაზე) ცხოვრობდა. ცხადია, მასწავლებლის არჩევაში მისი კვალიფიკაცია თამაშობდა როლს, მაგრამ დარწმუნებული ვარ ვუკოლ ბერიძე და მისი მეუღლე იმასაც ითვალისწინებდნენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციის შემდგომ უსახსროდ დარჩენილი არისტოკრატი ქალისთვის თითოეულ მოწაფეს.

„მიჭირდა შევგუებოდი აზრს, რომ ჩემს გვერდით იყო ერეკლე 11 შვილიშვილისშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილის შვილიშვილი, დავით ჭავჭავაძის ქალიშვილი, ეკატერინე ჭავჭავაძის და ნინო ჭავჭავაძის დისშვილი, გრიბოედოვი ბიძად რომ ეკუთვნოდა,“ – იგონებს ვახტანგ ბერიძე.

მისივე სიტყვებით, ელისაბედის ბინა, მისი ოჯახი, ძველი ქართული არისტოკრატიის დაცემის მძიმე სურათს წარმოადგენდა. ერთადერთი მოსამსახურის ამარად დარჩენილი ელისაბედი, რომელსაც მანამდე რეალურ ცხოვრებასთან შეხების არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა, ვერ ახერხებდა გარდაქმნას და ახალ ვითარებასთან შეგუებას. „ქალი ,რომელსაც მთელი საქორწილო თეთრეული ჰოლანდიიდან ჩამოუტანეს და მრეცხავი ქალიც იქიდან ჩამოუყვანეს, წარმოუდგენელ დისკომფორტში ცხოვრობდა. მშვენიერი ძველებური ავეჯი მთლად დაშლილიყო. აქა-იქ ზამბარები ამოჩრილიყო, ყველაფერს მტვრის ფენა ედო. მისი შემოსავლის წყარო კერძო გაკვეთილები იყო. ბევრი მოწაფე ყავდა, მაგრამ ფულის ყიდვა არ იცოდა და ხელ უფულობას უჩიოდა“ (ვ. ბერიძე).

იჯდა მაგიდასთან მარტოხელა მოხუცი ქალი. ... იქნებ, ცხოვრებისეული წვრილმანების უგულებელყოფა, ბრწყინვალე ქალბატონის ჭუჭყიანი ფეხსაცმელებით საწოლში შეწოლა (ვახტანგ ბერიძის მიერ ზოლასეული გულახდილობით დანახული ეს დეტალი განსაკუთრებით ტრაგიკულს ხდის ელისაბედის ცხოვრების ბოლო წლებს) და სხვა მისი საქციელი პროტესტის გამოხატვის მისთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი ფორმა იყო.?

რა მნიშვნელობა აქვს ეტიკეტს, გარკვეულ პირობითობას, როდესაც თავზე დაგამხეს მთელი ცხოვრება? ასეთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს ელისაბედის ცხოვრების ბოლო წლების სტილს.

ნიჭიერებით, სილამაზით სავსე ქალს ბედმა არგუნა ეცხოვრა დიდი კატაკლიზმების ეპოქაში, მოსწრებოდა საკუთარი ცხოვრების ნგრევას. სილამაზისთვის დაბადებულს სიკვდილი გამურულ, მტვრიან, ძველი დიდების ნაშთებით ჩახერგილ ბნელ ოთახში მოუწია.

ელისაბედ ორბელიანი (ქალიშვილობაში ბაგრატიონი), იგივე ელისაბედ გრუზინსკი, იგივე Lize de Georgie გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს. ამ დროს იგი 72 წლისა იყო.



ელისაბედ ორბელიანი
Elisabed Orbeliani

**ნინო ზაალიშვილი.**

*პრობლემურ საკითხებს განიხილავდნენ კონფერენციაზე, რომელიც თსუ ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის, თანამედროვე ფილოსოფიის პრობლემათა კვლევის ცენტრის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ გაიმართა თემაზე: „ქრისტიანობა და ფილოსოფიური ანთროპოლოგია".*

*აქ საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ირმა წერეთელმა – „თავისუფლების ცნების რამდენიმე ასპექტი ჰ.მ.კალიბეუსთან", ნუცა კობახიძემ – „დიალოგი და ქრისტიანული აზროვნება", ირაკლი ბრაჭულმა – „ადამიანი კულტურულ-თეოლოგიურ განზომილებაში", ანასტასია ზაქარიაძემ – „ბიოეთიკის ანთროპოლოგიური მოდელი", დემურ ჯალაღონიამ – „ქართული ხასიათის მეტაფიზიკური გააზრება", მამუკა დოლიძემ – „ქრისტიანობა და ოიდიპოსის მოდელის იდეალიზების პროცესი".*

# „რაც ფილოსოფოსთ სიზმარშიც არ მოლანდებიათ...“

რა არის სული და რა არის სხეული?.. როგორ განიხილება სულისა და სხეულის თანაარსებობა და როგორია მათი ურთიერთობა? რას ნიშნავს სიცოცხლის სწორი აღქმა და აღწერა?..

თანამედროვე რაკურსში მეცნიერები ფილოსოფიასთან ერთად, ბიბლიასაც მოიშველიებენ-ხოლმე ასეთ ასპექტთა კვლევისას...

მეცნიერების ძირითადი მამოძრავებელი ძალა ცნობისმოყვარეობაა და ალბათ, ის ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ბუნების ყველა საიდუმლოს ახსნას უძებნის... თუმც, როგორც ამბობენ, ბევრი რამ არის ამქვეყნად ისეთი, **„რაც ფილოსოფოსთ სიზმარშიც არ მოლანდებიათ!..“**

ასეა თუ ისე, ახლა ინტელექტუალები თავიანთ ნააზრევში უზენაესის არსებობას აღიარებენ:

**„მე რომ ღმერთი ვყოფილიყავი, ისეთივე გზით შევქმნიდი სამყაროს და ადამიანს... ჰქონდა თუ არა ღმერთს რაიმე არჩევანი, როცა იგი ჰქმნიდა სამყაროს?.. სულაც არ არის ჩვენი საქმე, როგორ უნდა მართოს ღმერთმა სამყარო და ამ სამყაროში მყოფი ადამიანი...“ – ამბობდა აინშტაინი.**

სულისა და სხეულის ურთიერთისგან დანაწევრება, ანუ გამიჯვნა ბიოეთიკის (თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი დარგი) ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება... ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არისტოტელე მიანიშნებდა:

„სულისა და სხეულის მიმართება არასწორადაა გაგებული... სულს განიხილავენ როგორც რაღაც განცალკევებულს, რაც შეიძლება სხეულს განესხვისოს და დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდეს. სინამდვილეში მხოლოდ სული კი არ არის მთლიანი, არამედ მთელი ცოცხალი არსებაც, სულისა და სხეულის ერთიანობაც. თეორიები სულისა და სხეულის ერთმანეთისგან გამოყოფის შესახებ, აბსურდულია... საკითხი, ერთიანია თუ არა სული და სხეული, იმაზე მეტად როდია გამართლებული, ვიდრე საკითხი – ერთიანი თუ არა ცვილი და მასზე ბეჭდის გამოსახულება, ან, ზოგადად, ერთიანია თუ არა საგნის მატერია და ის საგანი, რისი მატერიაც ის არის“.

სულზე, როგორც სხეულის ფორმაზე, ზოგადი მოძღვრება აბსტრაქტული და არარეალური ჩანს... რიგ ფილოსოფოსთა აზრით, სული ამოუცნობი იქნება, თუ უგულებელვყოფთ სხეულს, რომლის მეშვეობითაც ის გვევლინება.

* * *

ჩვენ დავინტერესდით სხეულის კორექციისას, ანუ პლასტიკური ქირურგიისას, რა ემართება სულს? „ეს არის პოსტმოდერნისტული აზროვნების ძალიან აქტუალური თემა: „მე ვარ თავისუფალი... ანუ მე შემიძლია ჩემს სხეულს რაც მინდა ის მოვუხერხო – ტატუირება, ფერის შეცვლა, სქესის შეცვლა, სიმაღლეში გაზრდა... – მესაუბრება ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ანასტასია ზაქარიაძე, – თანამედროვე ადამიანის მსოფლმხედველობის ველზე ტრიალებს ასეთი მიდგომა – სხეული არის რაღაც საგანი, ანუ მანქანა, რომელსაც შემიძლია დეტალი გამოვუცვალო... აქედან წარმოიქმნება კლონირების, ტრანსპლანტოლოგიის პრობლემა, აბორტი... ხომ საინტერესოა, რამდენად უარყოფითად მოქმედებს სხეულის ესთეტიკური ტრანსფორმაცია ადამიანის სულიერ შეგრძნებებზე? – სწორედ ბიოეთიკის საკვანძო საკითხია სულისა და ხორცის ურთიერთობა, სიკვდილისა და სიცოცხლის საკითხის გარკვევა – თანამედროვე მედიცინაში აზრი სხეულისა და სულის ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ, უკიდურესად ვულგარიზებული მიდგომაა. ადამიანი არის სულისა და სხეულის განუყოფელი ერთობა და სხეულს უნდა მოვექცეთ ძალიან ფრთხილად, ისე როგორც ჭურჭელს სულისას...“



მაგრამ მაინც, რატომ ითვლება მკრეხელობად ესთეტიკური სიამოვნება განიცადოს სხეულმაც? მახინჯი ტორსი იქცეს ლამაზ სხეულად? თვითკმაყოფილებას, თვითტკბობას უნდა ვესწრაფვოდეთ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლოა? და აი, საუკუნეების წინათ გაცემული პასუხი – არისტოტელეს ცნობილი გამონათქვამი:

„ყველა ადამიანი ესწრაფვის ბედნიერებას, ის ადამიანური ცხოვრების მიზანია... სული და სხეული ლოგიკურად გამოეყოფა ერთმანეთს. სული განსაზღვრების მიხედვით, იგივე არ არის, რაც სხეულია, ანუ სიცოცხლე იგივე არ არის, რაც მატერიაა, მაგრამ სხეული შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თავისებურ იარაღად, რომლის მეშვეობითაც ცალკეული სიცოცხლე, ანუ სული თავის თავს გამოხატავს... როგორც ხელობა საჭიროებს სათანადო ხელსაწყოებს, ასევე სულმაც უნდა მოიხმაროს სათანადო სხეული...“

როგორც ჩანს, ამგვარ მოძღვრებას დროის დინამიკა არ ექვემდებარება... სხეულის კორექციას, ანუ პლასტიკურ ქირურგიას საყოველთაოდ ეწინააღმდეგება როგორც ანთროპოლოგიური მეცნიერება, ისევე რელიგიური კანონზომიერება და თეოლოგიური მოძღვრება... თუმცა, ლოგიკურობისა და ეთიკის ზღვარზე როგორ ამოიხსნას სულისა და ხორცის ურთიერთობა, კითხვები „რატომ?“ და „რისთვის?“

## დიალოგი გლობალურ სივრცეში...

რას ნიშნავს თანასწორუფლებიანი დიალოგი და რა პრინციპით მკვიდრდება ეს ცნება ჩვენს რეალობაში?

დემოკრატიზაციის პროცესებში, ნაციონალური პრობლემებისა თუ სეპარატისტული მისწრაფებების ფაზაში დიალოგი რაიმე საფრთხის წარმოქმნის საშუალება უფროა, ვიდრე ფილოსოფიური აზროვნების გამოხატვის ფორმა. ნუთუ ცივილიზებულ სამყაროში თავისუფალი სიტყვის მოსმენისა და გაგების კულტურა არ არსებობს? რა არღვევს დღევანდელი საზოგადოების ეთიკურ ნორმებს?

„იცით, ჩვენ არ უნდა ვისაუბროთ მახინჯ ფორმებზე... ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, რაც უნდა იყოს სწორად ჩამოყალიბებული დღევანდელ საზოგადოებაში, – ამბობს თსუ ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტი ნუცა კობახიძე, – ჩემი მოხსენების – „დიალოგი და ქრისტიანული აზროვნება“ მიზანიც ეს არის. თანასწორუფლებიანი დიალოგი ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ არ არსებობს ერებს, კულტურებს, მსოფლმხედველობებს შორის იმგვარი განსხვავება, რომელიც ურთიერთდაპირისპირების საფუძველს შექმნის და, არ არსებობს დაპირისპირება, რომლის მოგვარება შესაძლებელი არ იქნება შეთანხმებით... ეს პოზიცია გამოიხატა 1955 წელს ლონდონში, მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც გაფორმდა დოკუმენტი, რომელიც „რასელ-აინშტაინის“ მანიფესტის სახელითაა ცნობილი“.

**გლობალურ სივრცეში მარტო ოფიციალური დოკუმენტების არსებობა არ არის საკმარისი... საინტერესოა, კიდევ რა ბერკეტები არსებობს იმისათვის, რათა შედგეს თანასწორუფლებიანი დიალოგი?**

დიალოგის ეფექტს განაპირობებს მოსმენის კულტურა, ეს კი უკავშირდება მოქალაქეობრივ ცნობიერებას და პოლიტიკურ მსოფლხედვას... საინტერესოა, რა სტადიაზე ვიმყოფებით ჩვენ – ქართველები?

## „მრავალნი არიან წოდებულნი, მცირედნი რჩეულნი...“

...საინტერესოა, რაში მდგომარეობს ფილოსოფიისა და თეოლოგიის ურთიერთობის პერსპექტივები და რა კონცეფციები აერთიანებთ თანამედროვე განზომილებაში?

როგორც მეუფე ვახტანგ ახვლედიანი კონფერენციაზე იტყვის:

„საერთოდ, თანამედროვეობაში ძვირფასია ფილოსოფიური აზრი, მიგნებები... ქართველმა კაცმა უნდა მოიძიოს ჯეშმარიტება – ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა, რადგანაც ურთიერთშორის ცოცხალი დიალოგი წარმოქმნის ჭეშმარიტების მარცვალს – თეოლოგიურ თუ ფილოსოფიურ საკითხებში. სწორედ ამ დიალოგში გაორების პრინციპს რომ არ გადავაწყდეთ, ამისთვის აუცილებელია კანონზომიერებებს პატივი ვცეთ.

რა არის ადამიანის მისია, საიდან მოდის, სად მიდის, რა არის ჩვენი ცხოვრება, სად არის სიცოცხლის პერსპექტივა და ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სული რას უერთდება – ეს არის მთელი ძიება იმ აზროვნებისთვის, იმ ახალი ჭვრეტისთვის და შემეცნებისთვის, რაც შეიძლება ერთად აღებულმა თეოლოგიამ და ფილოსოფიამ ამოხსნას ნათელი გონების ადამიანისათვის, და არა ყველასთვის, რადგანაც – **„მრავალნი არიან წოდებულნი, მცირედნი რჩეულნი...“** ჩვენ – ქართველები იმ უმცირესობაში ვართ მოქცეული, რასაც ბიბლიური ენით ვქადაგებთ. და მაინც, როგორია ქართული ხასიათის მეტაფიზიკური გააზრება? – ჩვენს გენეტიკაში არ არსებობს შუალედური არსი, ზომიერების ნაზავი... ქართველები ბუნებით არიან მინიმალისტები ან მაქსიმალისტები... საღვთო წერილში არის ასეთი რამ ნათქვამი: – **„ნუ იქნები ნელ-თბილი, ან იყავი ცხელი ან ცივი...“** ყოველ დიდ პიროვნებას უთქვამს: – **„თუ არ გიყვარს, რად არ გძულსო?“** და ვფიქრობ, ასეთი კონტრასტი კოდირებულად დევს ქართველი ერის ცხოვრებაში. ეს კი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველობის გადიადების მცდარი ამბიციებით ვიქადაგოთ“.

**მზეხა მახარაძე.**

*მასთან გამოთხოვება მთელმა საქართველომ ისურვა... ტაძარს, სადაც უკანასკნელად ესვენა, ყველა ვერ მიუახლოვდა და შორიდან ესროდნენ ყვავილების თაიგულებს... რაღაც საყოველთაო ტკივილით შეძრული, ყველა ტიროდა და ბოლოს, წამიერ დაძაბულ სიჩუმეს გამაყრუებელი ტაშის ხმა მოჰყვა – გოგი დოლიძეს უკანასკნელ ტაშს უკრავდნენ თბილისში...*

*არსებობს ნამდვილისადმი დამოკიდებულების განსაკუთრებული კრიტერიუმი, რაც ინტუიტურად თანამოაზრედ აქცევს სრულიად განსხვავებულ ადამიანებს. „ქართველების ერთად ყოფნა“, რაზედაც გოგი გარდაუვალი აუცილებლობის შეგრძნებით მღეროდა, თითქოს მასთან გამოთხოვების წუთებში გახდა შესაძლებელი...*

# [illegible]



**„ჩემი მიზანი არ ყოფილა შემექმნა მონოგრაფიული ნაშრომი ან მხატვრული ესეისტიკა – უბრალოდ, თავი მოვუყარე იმ მასალას, რომელიც ხელთ მქონდა. მინდოდა ეს მოგონებები ერთ პატარა წიგნად მექცია და მეჩუქებინა ხალხისთვის, რომელმაც განუზომელი პატივისცემა და სიყვარული გამოხატა გოგი დოლიძის მიმართ...“** – წერს მომღერლის და ლალი დოლიძე, გოგისადმი მიძღვნილი მშვენიერი წიგნის ავტორ-შემდგენელი.

მრავალ მოგონებათა და აზროვნების სტილით განსხვავებული ავტორის მიუხედავად, კრებულში ორიენტირება ადვილია და განწყობილების მიხედვით ერთი საერთო მთლიანობა იკვრება.

წიგნის რედაქტორი, გოგის მეგობარი ქეთევან ქურდოვანიძე წერს: „გოგი ყველასთვის ერთნაირად ირჯებოდა და იხარჯებოდა. მისთვის არ არსებობდა კონიუნქტურა, ცენზი, სტატუსის თაყვანისცემა. ამიტომაც მის გარშემო მოფუსფუსე ადამიანებს უმალვე უჩნდებოდათ პრეტენზია, რომ გოგი მისია, რომ ყველაზე უახლოესია. გოგი საერთოდ გახსნილი ადამიანი იყო. იგი ყველას აძლევდა უფლებას „ეცადა ბედი“. ამის გამო მას არაერთი ტკივილი და დარტყმა მიუღია. მაშინ გოგი საოცრად ჩაკეტილი ხდებოდა. მას არ უყვარდა საკუთარ პრობლემებზე საუბარი. ხანდახან იფიქრებდით, რომ მას პრობლემები საერთოდ არ გააჩნდა, რადგან ეს არასდროს ხდებოდა დისკუსიის საგანი. მხოლოდ სადღაც, სევდიან თვალებში შორეულ წყენას თუ შენიშნავდი, მაშინ იგი მიუჯდებოდა მაგიდას და იწყებდა ნარდის თამაშს. ნარდს გოგი აბსოლუტურად პროფესიულად თამაშობდა: ძალიან უყვარდა ფეხბურთი და ჩოგბურთი. რამდენიმე დღის ვარჯიშის შემდეგ კორტზე ბურთი თავისუფლად ეჭირა. შესანიშნავად ცურავდა. ერთხელ თბილისის ზღვაზე იმდენი ხნით ჩაყვინთა, რომ მაშველთა გამოძახება მოგვიხდა. ჰორიზონტზე ამოყვინთა და გამოგვძახა: აქ მაინც მაცალეთ ყოფნაო...

გოგის უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, რასაც დაივალებდა, საოცარი პუნქტუალობით შეასრულებდა. ის იყო ლიდერი, რომელიც ყოველთვის მზადაა ჯარისკაცის როლი შეასრულოს. მეგობრებისგანაც ამასვე ითხოვდა. მისი დისშვილი მაკა ყოლბაია უნივერსიტეტში რომ აბარებდა, მომიყვანა და ჩამაბარა, თან დასძინა: „იცოდე, ეს რომ ვერ მოეწყოს, პასუხს შენ მოგთხოვო“. დაიწყო გამოცდების ციებ-ცხელება და ჩვენც მაკასთან ერთად ვმეცადინეობდით. გოგის დავურეკე და ვთხოვე: ბავშვი „არსენა მარაბდელის“ წაკითხვას ვერ ასწრებს. იქნებ ზედმიწევნით გადაიკითხო და მოუყვე-მეთქი. სამი დღე გოგი სახლიდან არ გასულა, „არსენა მარაბდელს“ კითხულობდა. მახსოვს გახარებულმა დეიდა ქეთომ, გოგის დედამ მთხოვა. ახლა იქნებ „დიდოსტატის მარჯვენაც“ დაავალოო...

დეიდა ქეთოსთან, ჩვენ, გოგის მეგობრებს, პირადი ურთიერთობა გვაკავშირებდა. სპეციალურად მივდიოდით მასთან და რჩევას ვეკითხებოდით. ეს იყო ნამდვილი იმერელი თავადის ქალი – საოცრად ზრდილობიანი, უაღრესად სტუმართმოყვარე, ძალიან თბილი ადამიანი. მისი აზრი და შეფასება ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გოგისთვის. მისთვის სიმღერის ყველაზე დიდი მეტრი დეიდა ქეთო იყო და ალბათ, გოგის არასდროს უმღერია ისე, როგორც მის საფლავთან იმღერა, სუნთქვაშეკრულმა და ცრემლიანმა. მან საკუთარი დედა, მართლაც, უმშვენიერესი სიმღერით გააცილა იმქვეყნად...

კრებულში დაბეჭდილი მოგონებების ავტორები არიან: **ლალი დოლიძე, თემურ ჭკუასელი, ეკა თევზაძე, მაია დათუნაშვილი, ქეთევან ქურდოვანიძე, გოგი ხარაბაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, თემურ ქევხიშვილი, მარინა ჩხაიძე, ანზორ ერქომაიშვილი, მზიულა ერისთავ-ღლონტი, ვახტანგ ჟღენტი, რობერტ გოგოლაშვილი, დათო გოგიაშვილი, გურამ თამაზაშვილი, გიორგი დოლიძე, ეკა მამალაძე, გურამ ბენაშვილი, მაკა ერისთავი, მაცაცო სებისკვერაძე, თამრიკო გამილაღდიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი...**

ფრაგმენტი მოგონებიდან, რომელსაც ხელს აწერს „ქართული ხმების“ უკლებლივ ყველა მომღერალი:

**„რეპეტიციაზე გელოდით იმ დღეს. კარები შენს ნაცვლად, ჩვენთვის დღემდე გაუგონარმა და საზარლად უაზრო სიტყვებმა შემოგვინგრია, – გოგი აღარააო... და უეცრად, ცხრა კაცისთვის ამ სიტყვებივით უაზრო გახდა ყველაფერი...**

**გოგი დოლიძე – ტენორი, მთქმელი, „ქართული ხმების“ ღერძი. მისი ხმის დახასიათებას ზედმეტად ვთვლით, რადგან ის კლასიკური მაგალითია იმისა, რომ სიმღერას ხმაზე მეტად გული სჭირდება, ამიტომაცაა, საოცრად პოპულარული მთელ საქართველოში...**

**...გოგი, რამდენჯერ გითქვამს, ნუთუ ოდესმე ჩვენც ისეთივე დიდები ვიქნებით, როგორც ჩვენი ძველები, ჩვენი წინაპრები, განუმეორებელი მომღერლები იყვნენო... იყავი, გოგი, უკვე იყავი! ჩვენ კი ვიცოდით ეს, მხოლოდ შენ არ გჯეროდა. იყავი თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ შენეულ სიმღერასთან ერთად იმხელა სიყვარული ამოგდიოდა ასე ნაადრევად დაფლეთილი გულიდან, რომ ხალხმა აღარც კი იცოდა, შენი ნამღერი აფორიაქებდა უფრო თუ ამ ნამღერთან ერთად დაღვრილი სიკეთე.**

**დიდი იყავი, დიდი, მაგრამ როგორც ყველა დიდსა და ძლიერს, შენც არ გჯეროდა საკუთარი სიდიადისა და სიძლიერის. ახლა კი, როცა თვალზე ცრემლშეკიდებული თითქმის მთელი საქართველო შენს პატარა ეზოსაა მომდგარი, დაიჯერებდი, ალბათ, მაგრამ როგორ დაგანახოთ ან როგორ გაგაგებინოთ ეს, ჩვენო გოგი?!..**

და იმ ცრემლების ხსოვნით აცრემლებული ხალხი რომ გვიყურებს, გოგი, ქუჩაში ლანდებივით მოსიარულეებს, შემოგვცქერიან და ვეცოდებით, შენთან ერთად ჩვენც ვეცოდებით... ერთმა კაცმა ამდენი როგორ დაგვაობლე, ძმაო!“...

ეს წიგნი მართალი წიგნია, თითქოს მორჩენილი იარის თავიდან გამხსნელი და მტკივნეული... აქ ყველა მართალია და თითქოს გოგის, როგორც სიმღერაში პარტნიორის, მანერას იმეორებს – უკანა პლანზე დგება, მეორის წარმოსაჩენად... წიგნში გოგი დოლიძის ცხოვრების და შემოქმედების ყველა ნიუანსია გათვალისწინებული, მართლაც განუმეორებელი „გოგი“-ს, რომელსაც ერთხელ ასეთი სევდიანი სიტყვებიც უთქვამს: **„რატომღაც არაფერი მოხდა ისეთი, რაც ცხოვრებას გამიადვილებს...“**

**ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მზეხა მახარაძე, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.**



# განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ქ.თბილისი, კოსტავას ქ. №41) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ჩაის პლანტაციებში სამუშაოების მექანიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განსახორციელებლად. სახელდობრ დაფინანსდება საბაზისო მოდელის 0,6 ტონა კლასის თვითმავალი შასის (თ. შ. 25) გადაკეთება (სიმაღლეში აწევა) მასზე ჩაის ბუჩქების სასხლავი და საკრეფი აგრეგატების დასამონტაჟებლად, აგრეთვე 0,2 ტონა კლასის თვითმავალი შასის ნიმუშის დამზადება 1,5 მეტრი სიგანის რიგთაშორისების ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ.

2. ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 2005 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 მაისიდან 16 მაისის 18 საათამდე (ორ ეგზემპლარად), შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41, ოთახი №307 და №311 (სატენდერო კომისიის აპარატი).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

– ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (რაიონული სასამართლოდან);

– ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ან მისი რაიონული სამსახურებიდან);

– ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრიდან);

– რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

– დადგენილებას იურიდიული პირის რეგისტრაციისა და მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ (რაიონული სასამართლოდან);

– სატენდერო წინადადებასა და ხელშეკრულებებზე ხელმოწერისათვის უფლებამოსილ პირზე გაცემულ მინდობილობას (გარდა დირექტორისა);

– მოცემულ სფეროში მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებს;

– შესაძლო სუბკონტრაქტორთან დადებულ განზრახვათა შესახებ ხელშეკრულებას;

– ცნობას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულებაში მოცემული ნიმუშის ფორმით);

– ცნობას ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულებაში მოცემული ნიმუშის ფორმით);

– ბოლო წლის ფინანსური ანგარიშის (ბალანსი, აუდიტორული დასკვნა) ასლები;

– ცნობას სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ (შესაბამისი საგადასახადო სამსახურიდან).

**ფიზიკური პირებისათვის:**

– ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (შესაბამისი სასამართლოდან);

– ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრიდან);

– ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (რაიონული სასამართლოდან);

– რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

– პირადობის მოწმობის ასლს;

– მოცემულ სფეროში მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებს;

– შესაძლო სუბკონტრაქტორთან დადებულ განზრახვათა შესახებ ხელშეკრულებას;

– ცნობას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულებაში მოცემული ნიმუშის ფორმით);

– ცნობას სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ (შესაბამისი საგადასახადო სამსახურიდან);

5. ტენდერის მონაწილისათვის დაწესებული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა სუბკონტრაქტორისთვისაც.

6. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე. პირველადი სატენდერო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული; პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, როგორც გადასაკეთებელი, ასევე დასამზადებელი თვითმავალი შასის სიმძლავრის, სამუშაო სიჩქარის, მწარმოებლობის, მექანიზმის წონის შესახებ და სხვა ტექნიკურ მონაცემებს. პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს ნახაზები და სხვა ტექნიკური დოკუმენტაცია. პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველთა გამოცდილება, მოცემული პროფილით განხორციელებული სამუშაოები და სხვა.

7. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად და დაიშვება შესყიდვაში შემდგომი მონაწილეობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ განსაზღვრულ ვადაში სწორ საკვალიფიკაციო დოკუმენტებს, დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მიიღებს დადებით საექსპერტო დასკვნას. სატენდერო კომისია ყველა მონაწილეს აცნობებს საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებს. ტენდერის შემდგომ ეტაპზე დაშვებული პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ საკვალიფიკაციო მონაცემებზე საექსპერტო დასკვნის მიღებიდან 7 დღის ვადაში 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შესაბამის საბანკო ანგარიშზე შეტანის შემდეგ, მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 41, ოთახები №307 და №311.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისას კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან.

9. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ **მიხეილ კუპრეიშვილისა** (მობ. ტელ. 899 47-81-85) და **გიორგი ქავთარაძისგან** (მობ. ტელ. 893 64-84-10) მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 41, ოთახი 307 და 311. ტელ. 99-06-19.

**სატენდერო კომისია.**

---

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41) აცხადებს ღია ტენდერს ჩაის სელექციური ჯიშების („ქართული“, „კოლხიდა“) სანერგის მოწყობის და არანაკლებ 42000 ცალი სტანდარტული ნერგის წარმოებისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვაზე.

2. ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 2005-2006 წლების განმავლობაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 მაისიდან 16 მაისის 18 საათამდე (ორ ეგზემპლარად), შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41, ოთახი №307 და №311 (სატენდერო კომისიის აპარატი).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

– ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (რაიონული სასამართლოდან);

– ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ან მისი რაიონული სამსახურებიდან);

– ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრიდან);

– რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

– დადგენილებას იურიდიული პირის რეგისტრაციისა და მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ (რაიონული სასამართლოდან);

– სატენდერო წინადადებასა და ხელშეკრულებებზე ხელმოწერისათვის უფლებამოსილ პირზე გაცემულ მინდობილობას (გარდა დირექტორისა);

– ცნობას პროგრესული ტექნოლოგიით ჩაის ნერგის წარმოების გამოცდილების შესახებ (შესაბამისი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოდან);

– ცნობას იმის შესახებ, რომ გააჩნია ჩაის სელექციური ჯიშების „ქართულის“ და „კოლხიდას“ სათესლე და სადედე პლანტაციები (რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოდან);

– ცნობას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულებაში მოცემული ნიმუშის ფორმით);

– ცნობას ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულებაში მოცემული ნიმუშის ფორმით);

– 2004 წლის ფინანსური ანგარიშის (ბალანსი, აუდიტორული დასკვნა) ასლები დამოწმებული საგადასახადო სამსახურის მიერ;

– ცნობას სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ (შესაბამისი საგადასახადო სამსახურიდან).

**ფიზიკური პირებისათვის:**

– ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (შესაბამისი სასამართლოდან);

– ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრიდან);

– ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (რაიონული სასამართლოდან);

– რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

– პირადობის მოწმობის ასლს;

– ცნობას პროგრესული ტექნოლოგიით ჩაის ნერგის წარმოების გამოცდილების შესახებ (შესაბამისი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოდან);

– ცნობას იმის შესახებ, რომ გააჩნია ჩაის სელექციური ჯიშების „ქართულის“ და „კოლხიდას“ სათესლე და სადედე პლანტაციები (რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოდან);

– ცნობას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულებაში მოცემული ნიმუშის ფორმით);

– ცნობას სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ (შესაბამისი საგადასახადო სამსახურიდან);

5. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად და დაიშვება შესყიდვაში შემდგომი მონაწილეობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ განსაზღვრულ ვადაში სწორ საკვალიფიკაციო დოკუმენტებს და დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სატენდერო კომისია ყველა მონაწილეს აცნობებს საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებს. ტენდერის შემდგომ ეტაპზე დაშვებული პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შესაბამის საბანკო ანგარიშზე შეტანის შემდეგ, 1 ივნისიდან 5 ივნისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 41, ოთახები №307 და №311.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისას კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან.

7. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

8. ტენდერის შედეგად გამოვლინებულ იქნება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამარჯვებულმა 2006 წლის შემოდგომისათვის უნდა უზრუნველყოს ჩაის სელექციური ჯიშების „ქართულის“ და „კოლხიდას“ პოლიეთილენის პაკეტებში გამოყვანილი არანაკლებ 42000 ცალი სარეალიზაციო სტანდარტული ნერგის წარმოება.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ **მიხეილ კუპრეიშვილისა** (მობ. ტელ. 899 47-81-85) და **გიორგი ქავთარაძისგან** (მობ. ტელ. 893 64-84-10) მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 41, ოთახი 307 და 311. ტელ. 99-06-19.

**სატენდერო კომისია.**

---

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ქ.თბილისი, კოსტავას ქ. №41) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე არაპერსპექტიული ჩაის პლანტაციების მდგომარეობის შესწავლისა და მათი შემდგომი გამოყენების შესახებ რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. სახელდობრ დაფინანსდება სოფლის მეურნეობის სამმართველოების მიერ გამოვლენილი 8,5 ათასი ჰექტარი უპერსპექტივო ჩაის პლანტაციების ბიოლოგიური მდგომარეობის და ნიადაგის შემადგენლობის დადგენა, რეკომენდაციების შემუშავება ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ან მათი ამოძირკვისა და ალტერნატიული კულტურებით ჩანაცვლების მიზნით.

2. ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 2005 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 მაისიდან 16 მაისის 18 საათამდე (ორ ეგზემპლარად), შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41, ოთახი №307 და №311 (სატენდერო კომისიის აპარატი).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

– ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (რაიონული სასამართლოდან);

– ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ან მისი რაიონული სამსახურებიდან);

– ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრიდან);

– რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

– დადგენილებას იურიდიული პირის რეგისტრაციისა და მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ (რაიონული სასამართლოდან);

– სატენდერო წინადადებასა და ხელშეკრულებებზე ხელმოწერისათვის უფლებამოსილ პირზე გაცემულ მინდობილობას (გარდა დირექტორისა);

– ცნობას, რომ აქვს მეჩაიეობაში სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, გააჩნია შესაბამისი პოტენციალი, აღჭურვილია სათანადო ლაბორატორია-მოწყობილობებით;

– ცნობას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულებაში მოცემული ნიმუშის ფორმით);

– ცნობას ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულებაში მოცემული ნიმუშის ფორმით);

– ბოლო წლის ფინანსური ანგარიშის (ბალანსი, აუდიტორული დასკვნა) ასლები;

– ცნობას სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ (შესაბამისი საგადასახადო სამსახურიდან).

**ფიზიკური პირებისათვის:**

– ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (შესაბამისი სასამართლოდან);

– ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრიდან);

– ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (რაიონული სასამართლოდან);

– რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

– პირადობის მოწმობის ასლს;

– ცნობას, რომ აქვს მეჩაიეობაში სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, გააჩნია შესაბამისი პოტენციალი, აღჭურვილია სათანადო ლაბორატორია-მოწყობილობებით;

– ცნობას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულებაში მოცემული ნიმუშის ფორმით);

– ცნობას სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ (შესაბამისი საგადასახადო სამსახურიდან);

5. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე. პირველადი სატენდერო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული; პირველად სატენდერო წინადადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ჩასატარებელ სამუშაოთა აღწერილობის, პლანტაციების მდგომარეობის შესწავლისა და ნიადაგების გამოკვლევის მეთოდიკის, ამ პროცესებში ჩაბმული სამეცნიერო პოტენციალის, სამუშაოთა ჩატარების ვადების და სხვა საკითხების შესახებ, რომელსაც ტენდერში მონაწილე ჩათვლის საჭიროდ მიაწოდოს კომისიას სწორი დასკვნების გამოსატანად. პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველის გამოცდილება, პროფესიონალიზმი, მოცემული პროფილით გახორციელებულ სამუშაოთა რაოდენობა და ა.შ.

6. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად და დაიშვება შესყიდვაში შემდგომი მონაწილეობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ განსაზღვრულ ვადაში სწორ საკვალიფიკაციო დოკუმენტებს, დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მიიღებს დადებით საექსპერტო დასკვნას. სატენდერო კომისია ყველა მონაწილეს აცნობებს საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებს. ტენდერის შემდგომ ეტაპზე დაშვებული პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ საკვალიფიკაციო მონაცემებზე საექსპერტო დასკვნის მიღებიდან 7 დღის ვადაში 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შესაბამის საბანკო ანგარიშზე შეტანის შემდეგ, მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 41, ოთახები №307 და №311.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისას კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან.

8. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ **მიხეილ კუპრეიშვილისა** (მობ. ტელ. 899 47-81-85) და **გიორგი ქავთარაძისგან** (მობ. ტელ. 893 64-84-10) მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 41, ოთახი 307 და 311. ტელ. 99-06-19.

**სატენდერო კომისია.**

---

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, ქ. თბილისი, 0112 აღმაშენებლის გამზირი № 182, საიდენტიფიკაციო ნომერი 201948928, „ინტელექტბანკის“ ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი 220101933, ანგარიშსწორების ანგარიში 360801034 აცხადებს ღია ტენდერს თეატრალური დადგმებისათვის მხატვრული განათების აპარატურის შესყიდვაზე, კერძოდ:

| № | დასახელება | აღწერილობა | ოდენ. |
|---|---|---|---|
| 1. | მრავალფუნქციონალური ციფრული მართვის მოძრავთავიანი სანათი (ნათურითა და შემაერთებლით) | სიმძლავრე HM 575, მრავალტრაფარეტიანი ნათების მომატება – მოკლების საშუალება, სტრობირება, პრიზმა ეფექტი, სხივის დავიწროებისა და გაშლის საშუალება, ფერის ტემპერატურის 6000° - დან 3200° - მდე გადაყვანის საშუალება, სხივის მოძრაობის მინიმუმ 420°- 270°, მრავალფეროვანი, ნათურა HM 575 | 20 ერთ. |
| 2. | პროფილური სანათი ნათურითა და აქსესუარებით | სხივის დაშლა-დავიწროების საშუალება, ფერადი ფილტრის დამაგრების საშუალება, სხივის გაშლის კუთხე 25° - 50°, ნათურის სიმძლავრე 750 w, zoom+ ეფექტი | 6 ერთ. |
| 3. | მრავალარხიანი ციფრული მართვის პულტი | მინიმუმ 96 ციფრული არხი | 1 ერთ. |
| 4. | ანალოგიური სიგნალის ციფრულ სიგნალად გარდამქმნელი 72 არხიანი | | 1 ერთ. |
| 5. | ნისლის ციფრული მართვის აპარატი | სიმძლავრე მინიმუმ 1500 w. | 1. ერთ. |
| 6. | ნისლის ციფრული მართვის აპარატის სითხე | | 100 ლიტრი |
| 7. | სანათის ფერადი ფილტრები | ლურჯი, წითელი, ყვითელი, მწვანე | 20 ხვეული |

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის სატენდერო კომისიაში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 7 მაისიდან 11 მაისის 18 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, აღმაშენებლის გამზირი № 182.

**იურიდიული პირისთვის:**

1. ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

2. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

3. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**ფიზიკური პირისთვის:**

1. ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

2. ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

3. ცნობები სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 12 მაისს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არაუგვიანეს 2005 წლის 18 მაისს 16 საათისა, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, აღმაშენებლის გამზირი № 182.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა დასწრებით 2005 წლის 25 მაისს 15 საათზე. ტენდერში გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტენდერის საგნის შესრულება 2005 წლის 30 ივნისამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: **ვიტალი ნოდია,** მისამართზე: ქ. თბილისი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, აღმაშენებლის გამზირი № 182. ტელ: 34-80-90.

---

## განცხადება

შპს „საქართველოს რკინიგზაში“ მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, დირექტორთა საბჭოს 25-26 იანვრის №2/56 დადგენილების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საწარმოთა მართვის სააგენტოსა“ და შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე მიმდინარეობს ფილიალი თბილისის სალიანდაგო დისტანციის ლიკვიდაცია. შექმნილია სალიკვიდაციო კომისია. ფილიალის მართვას სალიკვიდაციო პერიოდში უზრუნველყოფს სალიკვიდაციო კომისია.

**შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალი თბილისის სალიანდაგო დისტანციის სალიკვიდაციო კომისია.**

---

**2005 წლის 12 მაისს 16 საათზე გაიმართება სს „თბილისის მონოლითმშენის“ აქციონერთა საერთო კრება (მის: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. №57). დღის წესრიგი: 1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა. 2. აუდიტის არჩევა. 3. სხვადასხვა.**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



**მარცხნიდან – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი ლილი ქუთათელაძე და ფილოლოგი ელენე ქუთათელაძე. გადაღებულია 1931 წელს.**

**ფოტო მოგვაწოდა ნინელი კაკაბაძემ.**

## ⊙ გიხაროდენ!

# მათე ბიჭი კაპანაძეთა გვარიდან



სამკურნალო-დიაგნოსტიკური კლინიკა „სპექტრის" მედდას მაია ნერგაძეს და მუსიკოს ფირან კაპანაძეს 17 აპრილს თბილისის კლინიკური მედიცინის ცენტრში (ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მანანა შარაშიძე) პირველი შვილი – ვაჟი შეეძინათ. მშობლებმა ბიჭს მათე დაარქვეს. ჩვილი 4 კილოსა და 200 გრამს იწონის, გოლიათი დაიბადა. პირველი შვილიშვილის შეძენით ხარობენ დალი და ვაჟა ნერგაძეები, ხოლო მესამე შვილიშვილის შემატებით – ლამარა და დემურ კაპანაძეები.

მაია ნერგაძე ემადლიერება კლინიკური მედიცინის ცენტრის მეან-გინეკოლოგებს ლექსო თარაშვილსა და ირაკლი ქართველიშვილს, ნეონატოლოგს თამარ ბიკაშვილს, ანესთეზიოლოგს ზაზა კეთილაძეს, ახალშობილთა განყოფილების უფროს მედდას მაია მუხრანელს, მედდას მაკა გოგრიჭიანს და კლინიკური მედიცინის ცენტრის მთელ სამედიცინო პერსონალს.

**ნინო ლიბრაძე.**

## ⊙ ცოტაც გავიღიმოთ...



— მითხარი, ვინ ხარ შენ, და გეტყვი, ვინ არის შენი მეგობარი.

— მე მილიონერი ვარ.

— მე კი — შენი მეგობარი.

* * *

— მიხო, ასი მილიონი რომ მოგცენ, რას გააკეთებდი?

— არაფერს.

— როგორ, არაფერს?

— რა საჭიროა?

* * *

მარო ტვინს უბურღავს მთვრალ მიხოს. მას კი საშინლად ეძინება:

— მარო, საყვარელო, ეს ყველაფერი დამიწერე და ხვალ დილით წავიკითხავ!

* * *

„ესტრადის ვარსკვლავთა ფაბრიკაში": — ყველა შემსრულებლის საყურადღებოდ! ფრთხილად იყავით — კონცერტის დროს მესამე მიკროფონი ჩართული იქნება.

* * *

სტუდენტი ტრაქტორივითაა — პირველ წელს მუშაობს, მერე კი რემონტზე დგას.

* * *

— ვერ მეტყვით, რა ღირს თქვენთან საქონლის ხორცი?

— როგორ ვერ გეტყვით, ნაჩხუბრები ხომ არა ვართ...

* * *

დილიდან ნაბახუსევი ტიპი მაღაზიაში შედის.

— მომეცით აი, ის, — თითით თაროსკენ მიანიშნებს, — ოღონდ მის სახელს ნუ ახსენებთ.

— სიგარეტი?

— არა.

— პური?

— არა.

— არაყი?

— ბეეყ (ტიპს გული აერია). ხომ გთხოვეთ, სახელს ნუ ახსენებთ-მეთქი.

* * *

მხედარი შეიძლება უთავო იყოს, ცხენი კი ამის უფლებას ვერ მისცემს თავს.

* * *

იგი იმდენად მზრუნველი ცოლი იყო და ისე უფრთხილდებოდა ქმარს, რომ მუდამ სხვისას ხმარობდა.



**ხაშხაშის** წვენი ძილისმომგვრელი ნარკოტიკია, იწვევს თავბრუხვევას, ძილს, რომელიც ხშირად სიკვდილით მთავრდება.

* * *

**1892 წელს** თბილისში პირველად შემოიღეს სახლების დანომვრა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ცენტრალურ ქუჩებში ელექტროფანრები დაიდგა.

* * *

**ანტარქტიდაში** აღმოაჩინეს ტბა, რომელშიც წყალი 11-ჯერ მლაშეა, ვიდრე ზღვაში, ამიტომ იგი მხოლოდ მინუს 50 გრადუსზე იყინება.

* * *

**ერთ-ერთი** გავრცელებული სასარგებლო სოკოა თეთრი სოკო, რომელიც გვხვდება არყის ხეების თხელ ტყესა და ფიჭვნარში, მუხნარში. მისი მოკრეფის პერიოდი ივნისის მეორე ნახევრიდან ოქტომბრამდეა.

* * *

**ადამიანის** ხელზე ყველაზე მგრძნობიარე საჩვენებელი თითია.

* * *

**პირველი** მექანიკური საათი 996 წელს ცნობილმა ფილოსოფოსმა და მეცნიერმა ჰერბერტ ავრილიაქსკიმ შექმნა.

## ⊙ ქართული ხასიათები

# ჩოხოსნებს „ჯიში უმაგრებს სტრიქონს"...

**ამ დღეებში რესტორან „თბილისში" საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების მორიგი შეკრება გაიმართა, რომელსაც მისმა ორგანიზატორებმა ქართული სამოსის საღამო დაარქვეს.**

**მოსაწვევი ბარათის გარეკანზე ასეთ ფრთიან ფრაზას ამოიკითხავდით: „და მხოლოდ ჯიში მიმაგრებს სტრიქონს"...**

დედამიწის ყოველ მონაკვეთზე ღმერთმა დაამკვიდრა თავისებური ჯიში და რჯული. მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, ცივილიზაციით, ტრადიციით და კულტურით, საქართველო ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია. ამის კიდევ ერთი დადასტურება იყო ეს უჩვეულოდ ლამაზი, განუმეორებელი საღამო, რომლის სულისჩამდგმელი ყველასთვის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, კინომცოდნე, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, ჩოხოსანი გოგი დოლიძე გახლდათ. საღამო 71 წლის გოგი დოლიძის ნამდვილ ბენეფისად იქცა. აქ იყო ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ქართველობა და როგორც საღამოს წამყვანმა, გამოჩენილმა რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ ბრძანა, – „ამდენ ლამაზ და წარმოსადეგ ქალბატონს და მამაკაცს ერთად მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ, თვით ინგლისის ლორდთა პალატაშიც კი"... ეს მართლაც ასე იყო და რა დროც არ უნდა დაგვიდგეს, ქართველი ხალხი არ დაკარგავს სხვათაგან გამორჩეულ ხიბლს, თავის ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების წესებს. სწორედ ეს საღამო გაჯერებული გახლდათ ამ პათოსით და გოგი დოლიძის ინიციატივა ამ მხრივაც დასაფასებელია.

შეხვედრაზე ეროვნული ტანსაცმლით თავს იწონებდნენ ცნობილი მსახიობები ზინაიდა კვერენჩხილაძე, გია ბურჯანაძე, სოსო ჯაჭვლიანი, ჩოხოსანთა საზოგადოების რიგითი წევრები.

ქალბატონმა ზინაიდა კვერენჩხილაძემ და გოგი დოლიძემ კაფიაობა გამართეს და ამით სტუმრების მხურვალე აპლოდისმენტი დაიმსახურეს.

ეს ლამაზი საღამო ქართული კერძების სიუხვითაც გამოირჩეოდა. დროდადრო „მრავალჟამიერი" ისმოდა. ქართულ ხალხურ სიმღერებს ჩოხოსანთა შესანიშნავი ანსამბლი ასრულებდა. ერთი სიტყვით, იქ ყოფნას მართლაც არაფერი სჯობდა... ექიმმა რევაზ სულავამ ისეთი შემართებით იმღერა „თბილისო", რომ დარბაზში მყოფი სტუმრები და მეგობრები აღაფრთოვანა.

საღამოს ესწრებოდა ჩვენი ცნობილი კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, რომელმაც ჩოხოსნებს რამდენიმე სიმღერა მიუძღვნა.

„და მხოლოდ ჯიში მიმაგრებს სტრიქონს"... ჯიში ქართველებს არა ოდენ სტრიქონს, არამედ სულსაც უმაგრებს. ძლიერი სულისა და ნებისყოფის ქართველობას კი გადაშენება არ უწერია.

**ნანა სულავა.**

**სურათზე: ჩოხოსანთა შეხვედრის დროს.**



## ⊙ წიგნი

# „ჯვარისწერა ციხის საკანში" დასრულდა – ცხოვრება გრძელდება



**მკითხველმა მიიღო ცნობილი ჟურნალისტისა და მწერლის ლერი მუსხელაძის რომანი „ჯვრისწერა ციხის საკანში". ამჯერად წიგნში, რომელიც გამომცემლობა „თამარიონი 2002"-მა შესანიშნავ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა, შესულია რომანის ორივე ნაწილი – „ჯვრისწერა ციხის საკანში" და „სისხლისმსმელი ფოცხვერა".**

რომანის მთავარი გმირი სანდრო მინდელი შექმნილია მისი პროტოტიპის, პოლიციის პოლკოვნიკ ალექსანდრე მუსხელაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე. რომანის მეორე ნაწილიც ისევე ლაღად, თავისუფლად იკითხება. მძაფრსიუჟეტიანი რომანი გასული საუკუნის მეორე ნახევარს ასახავს თავისი კრიმინალური სამყაროთი და სამართალდამცავ მაღალჩინოსანთა კორუმპირებულობით. როგორც წიგნის წინათქმაში რედაქტორი, ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი წერს, „შემეძლო დაწვრილებით გამერჩია წიგნში აღწერილი პერიპეტიები, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ დეტექტიური ჟანრის ნაწარმოები გიდევთ წინ და მე თუ ყველაფერი გითხარით, ვაი თუ ინტერესი გაგინელდეთ და აღარ წაიკითხოთ. ამიტომ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, გადაშალე ეს წიგნი, თავი ჩარგე და თუ ბოლო გვერდამდე სულის მოუთქმელად არ გახვიდე, შენი ხმალი და ჩემი კისერი. მაშ ასე, გზა მშვიდობისა!"

მკითხველს შევახსენებთ, რომ ბატონი ლერი მუსხელაძე ავტორია ისეთი ცნობილი რომანებისა, როგორებიცაა „ოქროს ობობა" და „სამიზნეზე შემომჯდარი ბედისწერა", რომელიც აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას ეხება.

ახლად გამოცემული წიგნის მხატვარია ალექსანდრე ციხელაშვილი.

**ავთანდილ ბექაური.**

## ⊙ ყოფა

# ვაითუ, ეს იმედიც მიილია...

დღეს აღარაა გასაკვირი, რომ ყოფილი საზოგადო მოღვაწე, ექიმი თუ პედაგოგი ქუჩაში ზის და ვაჭრობს. ეს უკვე მათი მეორე, ოღონდ „იძულებით" შეძენილი პროფესიაა. ამაზეა ნათქვამი სწორედ, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. ზოგისთვის ეს ცხოვრება, თუნდაც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ უფრო გაუსაძლისი გახდა.

... ის უკვე 12 წელიწადია, რაც მეტრო „გოცირიძესთან" ჟურნალ-გაზეთებს ჰყიდის. პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი, ადრე წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისში" მუშაობდა.

– მაშინ კარგი დრო იყო. ცხოვრება არ ჭირდა. იყო ბევრი სამუშაო ადგილი, ოღონდ შრომის სურვილი ჰქონოდა კაცს. საზღაურიც ნორმალური იყო, – ამბობს ქეთევან ძველაია-ხარისთვალაშვილი, – მერე ცხოვრება აირია, საწარმო დაიხურა, სხვა გზა არ მქონდა. როგორც ყველა, მეც ქუჩაში გამოვედი... უკვე ამ „პროფესიას" (ჟურნალ-გაზეთების გაყიდვას) მივეჩვიე.

***– ქალბატონო ქეთევან, უკვე აღნიშნეთ, რომ 12 წელიწადია, რაც აქ მუშაობთ. ალბათ, ბევრი სასურველი და მუდმივი მყიდველი გყავთ.***

– რა თქმა უნდა, მათ შორის მთავრობის წარმომადგენლებიც არიან. არიან ისეთებიც, რომლებსაც გაზეთისა თუ ჟურნალის ყიდვის საშუალება არ აქვთ. მიაქვთ ხოლმე, წაიკითხავენ და ისევ უკან მიბრუნებენ.

***– რამდენ ცალ „საქართველოს რესპუბლიკას" ღებულობთ?***

– სულ შვიდი გაზეთი მოაქვთ და მას მუდმივი კლიენტი ელოდება.

მინდა გითხრათ, რომ ძალიან მომწონს თქვენი გაზეთი, აკადემიური გაზეთია. მოსაწონია გაზეთის სიახლეები: დანართები, ახალგაზრდული გვერდი. ამით იგი მრავალფეროვანი გახდა და ახალგაზრდებიც ეძებენ. ყოველკვირეული დაიჯესტიდან ხომ მსოფლიოში მომხდარ მოვლენებს გაიგებ. ერთი სიტყვით, გაზეთი უფრო კარგი წასაკითხია.

***– უფრო რომელ ჟურნალ-გაზეთზეა მოთხოვნა?***

– „კვირის პალიტრაზე", ალბათ იმიტომ, რომ მთელი კვირის განმავლობაში შეგიძლია იკითხო კაცმა, „ასავალ-დასავალი", „რაო-რაო", „პრეზიდენტი", ჟურნალებიდან „სარკე" და „თბილისელები". არიან სპორტის მოყვარულებიც, რომლებიც სპორტულ გაზეთებს ყიდულობენ (მათთვის გაზეთი სულ შენახული მაქვს).

***– დღევანდელი მთავრობის იმედი თუ გაქვთ?***

– მათგან უფრო ბევრს ველოდით. თუმცა წლობით დანგრეულ ქვეყანას ერთ წელიწადში ვერ ააშენებ. პარლამენტში დეპუტატების ხელფასებისა თუ პენსიების გაზრდაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ხალხის დასაქმებასა და მათ მომავალზე. ძნელია 28-ლარიანი პენსიონერისთვის იმის ყურება, რომ დეპუტატების პენსია 750 ლარია. ჯერჯერობით, როგორც ჩანს, ეს ჩვენი მთავრობა უმუშევართა რიგებს უფრო ამრავლებს. ერთი მინდა ვთქვა, არ მიმაჩნია სწორად ყველაფრის ყიდვა-გაყიდვა. დღეს პარლამენტში ეს საკითხი უფრო აქტუალურია.

მაგრამ ალბათ მალე დადგება ის დრო, რომ ხელისუფლება ხალხის დანაპირებს უთუოდ შეასრულებს. ცხოვრება გაუმჯობესდება... იქნება ბევრი სამუშაო ადგილი, ხალხი დასაქმდება. ამას მე შეიძლება ვერ მოვესწრო, მაგრამ ჩვენი შვილები ხომ მაინც იცხოვრებენ დალაგებულ საქართველოში.

მაგრამ როდის იქნება?...

ვაითუ, ეს იმედიც მიილია, მაშინ...

**რიტა ჩაკვეტაძე.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**



## ⊙ 24 აპრილი სომეხთა გენოციდის დღეა

# ერის განუკურნებელი ტკივილი



24 აპრილს სომეხი ერი უდიდესი გულისტკივილით აღნიშნავს თავისი ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცლის – 1915 წლის დიდი გენოციდის 90 წლისთავს. ეს იყო XX საუკუნის დასაწყისში. დასავლეთ სომხეთში დაიღუპა 1,5 მილიონზე მეტი სომეხი და უფრო მეტიც დაიფანტა მსოფლიოს ყველა კუთხეში.

აი, აქ, საქართველოში, ჯავახეთში ჩამოსახლებული ერთ-ერთი ოჯახის შთამომავალი იყო გამოჩენილი სომეხი პოეტი, პროფესორი **ოქრო ოქროიანი** (1939-2003), რომლის შემოქმედებაში საქართველოს მიმართ მადლობის გრძნობასთან ერთად, არა ერთხელ არის გამოხატული თავისი ერის დიდი ტრაგედიის – გენოციდის ტკივილიც.

აი, ამ თარიღთან – გენოციდის 90 წლისთავთან დაკავშირებით, გთავაზობთ მის ერთ-ერთ ლექსს, ახლახან ქართულ ენაზე გამოცემული მისი წიგნიდან „ასკილის სურნელი", რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრმა **ანაიდა ბოსტანჯიანმა** და ქართველმა პოეტმა **ნანა იაკობიძემ** თარგმნეს.

### ოქრო ოქროიანი

## სიმღერა გენოციდზე

ლამაზი და შიშველ-ტიტველი... სიმღერა იშვა, სიყვარული ფარულად,
გენოციდის დვრიტით შედედებული... აჭრილ სისხლს თალხი ემოსა.
ბრმა იყო მოსისხლე მტერი — ახლაც ბორგავს ველური მგელივით...
დასაბამიდან — ბნელეთის ჭირხლი, ღვარძლი და შხამი, მოხეტიალე...
ვერ იტანდა ტოროლას სიმღერას, რწმენის წმინდა შუქს და ცისკრის ზარებს,
წყალივით მომდინარ, ქარაფზე გადმოკიდულ ია-ვარდს — გაბადრულ
მთვარეს...

მშობლიური მიწა ჯვრად დახვედრია, თავისუფლების ჭანგი უჭექია,
ხნულიდან ოხშივარ-ყანა დამწიფებულა, სასიყვარულოდ შეღერებულა...
სომეხი არ დაცემულა, არ ჩამქრალა, აღმდგარა, როგორც ნათლის სიმღერა,
ამოცისკრებულ ნათელ ბაგეზე „დიდების სხივად" ჰური უმღერია...
... წარღვნის ბოლო ამონაკვესიდან სიტყვები ამოუკრეფია, ხორბალი
დათესილი,
გრიგალთა წინააღმდეგ დამდგარა, დაუჭექია, დიდხანს მიწყივ ვარსებობდით...
ჰო, მიწყივ ვარსებობდით... ვიბრძოდით ბოროტის წინააღმდეგ,
ქვეყნად ჩვენ გვაქვს ხაჩქარი... მთა-დიდებული, გოლგოთა-ედემი...
შეხე, შუბლზე აღმაფრენაა... საუკუნეთა ღრმა სევდა აღბეჭდვია,
ჩახედე თვალებში, ჯვარი წაუღია... პირველი ღვინო დაუწურია.
ჩახედე თვალებში... სისხლი ღვინოდ ქცეულა და სხეული — პურად,
ქარტეხილებს გაუძლო, დარჩა ქარაფზე გადმოკიდებულ ია-ვარდის ფეთქვად...
მასში ქვის აღმაფრენაა, ქვის ცხოვრებაა, ქვის კვნესა,
ქვაში ნაკვეთი, ქვითნაკეთი, ჩემი ჩივილია ქვის შუქიდან...
შეხედე, თვალები წყალივით ლურჯია, სულისშემძვრელი მახილია...
წმინდა სასწაულის დაბადება... სინათლე-ცხოვრების, მწვანე გრილვა...
ჩემი გლოვა... კვნესა, საუკუნის ბურჯი, შენ — ჩემი ლამაზი ცოდვა...
მარადიული სამყარო ხარ, სის-მასისთან ერთად — ჩემი აღმაფრენა.

**27.11. 96 წ.**

## ⊙ ახალი აეროპორტი

# აშენე, მართე, გადაეცი!

თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობა, შესაძლოა, თურქულ კომპანია „ჩელებს" დაევალოს.

როგორც მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე სამი კომპანიიდან – გერმანული „ტაკომი", თურქული „ტაკეი" და „ჩელები" – უპირატესობა ჯერჯერობით „ჩელებს" მიენიჭა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ამგვარი არჩევანის გაკეთების საფუძველი გახდა ახალი აეროვაგზლის დიზაინი, მშენებლობის ვადები და „ბიოტის სისტემა" (ააშენე-მართე-გადაეცი).

როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, მოლაპარაკებები ჯერ დასრულებული არ არის და დაახლოებით ერთ თვეში გაირკვევა იმ კომპანიის ვინაობა, რომელიც თბილისის მომავალ აეროპორტს ააშენებს. ამ ეტაპზე კი, ჯერ კიდევ გრძელდება კონტაქტები ტენდერში მონაწილე სამივე კომპანიასთან.

„ჩელები" ვალდებულებას იღებს, რომ ახალი აეროვაგზლის მშენებლობას 11 თვეში დაასრულებს და ათი წლის მართვის შემდეგ ის საქართველოს ხელისუფლებას გადაეცემა.

„ჩელებს" აშენებული აქვს ანტალიის აეროპორტი, რომლის გახსნასაც სულ რამდენიმე დღის წინათ თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ერდოგანიც დაესწრო.

**საკუთარი ინფორმაცია.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები იუწყებიან კოლეგის, შესანიშნავი ადამიანისა და მამულიშვილის

ალექსანდრე (საშა) ღვალიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ახლობლებს.



დედა ვერიკო, მეუღლე თემური, შვილები ქეთი და თამთა კანდელაკები, და ინგა, ძმა გუგუ ფანცხავა, მული ნანა, რძალი ციალა, დეიდაშვილები ლია, მაკა, ნარგიზა, მედიკო ცქიტიშვილები და ნონა გეგია, სიძეები მიშა მუჯირი, გურამ მგალობლიშვილი და ახლო ნათესავები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სვეტლანა დიმიტრის ასული

ტუკალოვა-კანდელაკი.

პანაშვიდი 24, 25 IV, 17 სთ. დაკრძალვა 26 IV, 15 სთ. მისამართი: ი. ჭავჭავაძის №75, კორპუსი 4, I სადარბაზო, III სართული.

საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერას" წარმომადგენლობის კოლექტივი საქართველოში ღრმა მწუხარებას გამოხატავს და უსამძიმრებს ბატონ ირაკლი ნიკოლაიშვილს დედის, უსათნოესი ქალბატონის

ლილი კვიცინაძე-ნიკოლაიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სახელმწიფო, საჯარო სამსახურის, მუნიციპალური დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი მომსახურების მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა საბჭოს გამგეობის წევრი, ღვაწლმოსილი პროფკავშირული და სამეურნეო მუშაკი, ქვეყნისა და ერის უერთგულესი პატრიოტი, უკეთილშობილესი პიროვნება

შოთა ბაზერაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პერინატოლოგთა და მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია, აკ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ ირაკლი მამამთავრიშვილს

მერი გრიგოლის ასული მუხაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება -
ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK